ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 4 (1378)

26/II-5/III, 1994 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**25**

# თებერვალმა დაგვიზამთრა მაისი...

დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ მასალებს 1920 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებისა და რამდენიმე თვის შემდეგ მისი დარღვევის, რუსეთის მიერ საქართველოს ვერაგული დაპყრობის შესახებ. ქართველთა თავგანწირული, მაგრამ, ამაო ბრძოლებთან დაკავშირებით მტრის წინააღმდეგ ანუ დღევანდელი ნომერი მოგითხრობთ ისტორიის საშინელ გაკვეთილებზე, რომელმაც სამწუხაროდ ვერაფერი გვასწავლა...

## ყოველის მხრიდან...




რუსეთის თავდასხმა საქართველოზე. წითელი არმიის სამხედრო მოქმედებათა მიმართულებზე. 1921 წლის თებერვალში.

# ფიცი მეგობრობისა რუსეთ-საქართველოს შორის

## საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებიდან

### დოკუმენტი 1

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრით, და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერობა — ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, გადაწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება..., შეთანხმდნენ ქვემოთმოყვანილ მუხლებში:

მუხლი I. ... რუსეთი ყოველი პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას და თავისი ნებით ხელს იღებს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე...

მუხლი II. ...რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი IV. ... რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად... აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები. ტფილისის, ქუთაისისა და ბათომის ყველა მაზრებითა და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქები...

გაზეთი „საქართველო“ 8 ივნისი. 1920 წ.

## შეინმანის მოლოცვა

### დოკუმენტი 2

საქართველოში რუსეთის სრულუფლებიანმა დიპლ. წარმომადგენელმა შეინმანმა საქართველოს იურიდიულ აღიარებასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე შემდეგი წერილობითი მილოცვა გამოგზავნა:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარებასთან დაკავშირებით, ჩემი მთავრობის სახელით გულწრფელად ვულოცავ ქართველ ხალხს ამ დღესასწაულს.

რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკა... დიდი სიხარულით ხვდება ამ ცნობას, რადგან ეს ნიშნავს, რომ ანტანტამ უარი განაცხადა ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენის იდეაზე...

მიიღეთ ჩემი პატივისცემა.

გაზეთი „ბრუზია“ 4.II.21 №25 2.II.21წ.

## საქართველოში რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის პირველი მრჩევლის სერგო ქავთარაძის სიტყვა

### დოკუმენტი 3

ამხანაგო ნოე! მე მოგმართავთ ასე, რადგან ის წყარო, რომლიდანაც ჩვენ მიგვიღია იდეური საზრდო — ერთია. მე მოგმართავთ ასე, როგორც წარსულში ჩემს მასწავლებელს. მე მოგმართავთ ქართულად, რადგან ეს ენა არის ენა ქართველი მშრომელი ხალხისა, რომელთანაც გატარებია მთელი ჩემი რევოლუციონური სიყმაწვილე. ამხანაგო ნოე! თქვენს სიტყვაში რუსეთი მოიხსენიეთ, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული მეზობელი, მე კი მგონია, რომ აქ აღსანიშნავია უფრო მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, მომენტი იდეური: რუსეთი არის სოციალისტური რესპუბლიკა, სადაც მშრომელი მასები კარგახანია შეუდგნენ სოციალიზმის ცხოვრებაში გატარებას და თქვენთვის, როგორც სოციალისტისათვის, რომელიც სახელმწიფოს სათავეში უდგია და რომლის საბოლოო მიზანი სოციალიზმია, არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო ღრმა კავშირი, ვიდრე ისტორიული და გეოგრაფიული. იმ წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც თავიანთ სიტყვაში გამოხატეს სიყვარული და სიმპათია ქართველი ხალხისადმი, მე დარწმუნებული ვარ, რომ მომაკუთვნებთ არა უკანასკნელ ადგილს და ჩემს სიყვარულს და თანაგრძნობას ქართველი ხალხისადმი თქვენ მიიღებთ მეტის რწმენითა და დაჯერებით. აგრეთვე ჰიმნს, რომელიც არის ლოცვა მთელი მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატის და აგრეთვე თქვენიც, თქვენ მოისმენთ ღრმა სასოებით და თქვენი გული მეტის თანაგრძნობით და სიყვარულით აჰგერდება „ინტერნაციონალის“ ხმების გაგონებაზე.

ნება მიბოძეთ ეს სასმისი ავილო ხელში და სრულის გულწრფელობით ვსთქვა სადღეგრძელო ქართველი მშრომელი ხალხისა და აგრეთვე თქვენი, როგორც მისი დღევანდელი ბელადისა და მესვეურისა.

წარმოთქმულია 1921 წლის 7 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ საზეიმო მიღებაზე ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს იურიდიულად აღიარების გამო.

გაზ. „საქართველო“ 15. II 1921 №35

# ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს ანუ რუსეთის თავდასხმა საქართველოზე

## გენერალური შტაბის ცნობა

### დოკუმენტი 4.

ტფილისი. 12 თებერვალი. 11 თებერვლის ღამით რეგულარულმა ჯარებმა სომხეთის მხრიდან განახორციელეს მოულოდნელი თავდასხმა ჩვენს მოწინავე სასაზღვრო პოსტებზე ბეზობდალის ქედის გადმოვლით ბორჩალოს მაზრის სადგურ შაგალთან და შინიხთან. ამასთან ერთდროულად ბორჩალოს მაზრის სასაზღვრო ზონის ზოგიერთმა სომხებით და რუსებით დასახლებულმა სოფლებმა მოაწყეს აჯანყება და გადავიდნენ თავდამსხმელთა მხარეზე. მოსახლეობის ნაწილი ჩვენი ერთგული დარჩა და გვეხმარებიან. ბეზობდალთან თავდამსხმელები გაფანტულია. ვორონცოვკაში აჯანყება ჩახშობილია. შაგალის, შინიხის და უჩუნლიარის რაიონებში მიმდინარეობს მძიმე ბრძოლები.

გაზეთი „საქართველო“ 13 თებერვალი, 1921 წ. №

## რუსეთში საქართველოს ელჩის გ. მახარაძის დეპეშა

### დოკუმენტი 5

საქართველოსა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისადმი

1921 წლის თებერვლის 12

გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს გაეგზავნა შემდეგი ნოტა:

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს მოქალაქე ჩიჩერინს

ჩემმა მთავრობამ 12 თებერვალს დეპეშით შემატყობინა, რომ 11 თებერვალს ღამით სომხეთის სსრ-ს მხრიდან რეგულარულმა ჯარებმა განახორციელეს თავდასხმა საქართველოს მოწინავე ნაწილებზე ბეზობდალის ქედიდან სადგურ შაგალთან და შინიხთან ბორჩალოს მაზრაში, თანაც ამ დეპეშის გადმოცემის მომენტში ბრძოლები შინიხში კიდევ გრძელდებოდა.

ვლებულობთ რა მხედველობაში რუსეთ-სომხეთის სამოკავშირეო ურთიერთობას და აგრეთვე იმას, რომ ყველა სადავო საკითხი საქართველოს და სომხეთს შორის უნდა გადაწყდეს მომავალ საქართველო-სომხეთის კონფერენციაზე, გთხოვთ მაცნობოთ, რა ზომები მიიღო რუსეთის მთავრობამ ამ სისხლისღვრის შეჩერებისათვის, რომელიც საქართველოს არ გამოუწვევია და რომელიც ყოველთვის ცდილობდა ყველა მეზობელთან წამოჭრილი დავა მშვიდობიანი გზებით გადაეჭრა.

შექმნილ მდგომარეობის სერიოზულობის გამო ჩემი მთავრობა დაინტერესებულია რაც შეიძლება სწრაფად გაარკვიოს რუსეთის მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხზე, რადგან ყოველგვარ დაყოვნებას შეუძლია მძიმე შედეგი მოიტანოს. დაყოვნებას ჩემი მთავრობა გაიგებს, როგორც რუსეთის მთავრობის ხელშეწყობას თავისი მოკავშირე სომხეთისადმი...

მიიღეთ ჩემი პატივისცემა.

საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთში გ. მახარაძე

გ. ჩიჩერინის პასუხი

ბატონ მახარაძეს — საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს.

მოწყალეო ხელმწიფეო! თქვენი შეკითხვის პასუხად თავს მოვალედ ვთვლი შეგატყობინოთ, რომ თქვენი განცხადება თითქოსდა ჩვენი არმიის თავდასხმის შესახებ საქართველოს ჯარებზე, სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენი ცნობებით, საქართველოს ჯარების მიერ ოკუპირებულ სომხეთის ტერიტორიაზე, ნეიტრალურ ბინაში აჯანყდა ადგილობრივი მოსახლეობა ქართული ოკუპაციის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ამ გართულების ლიკვიდაციისათვის საჭიროა საქართველოსა და სომხეთის მთავრობების შეთანხმება, მაგრამ არ შემიძლია არ მოგაგონოთ, რომ ასეთი არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს ჯარით ამ ტერიტორიის დაკავებით, ამიტომ შესაძლებელი შედეგების გამო პასუხისმგებლობა არ შეიძლება ჩვენ დაგვეკისროს.

ვსარგებლობ შემთხვევით, მოწყალეო ხელმწიფევ და გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი პატივისცემა.

გ. ჩიჩერინი

(იხ. ლ. თოიძე „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც“ თბ. 1991 გვ. 258-261).

შენიშვნა: საქართველომ ლორის სადავო ნეიტრალური ზონა დაიკავა სომხეთის დაშნაკურ მთავრობასთან 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმების ძალით, 3 თვის ვადით, 1921 წლის 12 თებერვლამდე. ეს გამოწვეული იყო თვითონ სომეხთა თხოვნით, რადგან დაშნაკები თურქებთან ომში იყვნენ ჩაბმულნი და ლორის რაიონის დაცვა საკუთარი ძალებით აღარ შეეძლოთ. ზონის სტატუსი უნდა გადაწყვეტილიყო ერთობლივი მოლაპარაკებით. მაგრამ 1920 წლის 2 დეკემბერს სომხეთი გასაბჭოვდა და ახალმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ არ სცნო დაშნაკების მიერ დადებული შეთანხმება და საქართველოს ულტიმატუმური ფორმით მოსთხოვა ზონის დატოვება. საქართველოს მთავრობა პასუხობდა, რომ ზონას დატოვებდა მხოლოდ სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო მისი საბოლოო მიკუთვნების საკითხი მოლაპარაკებით უნდა გადაჭრილიყო.

რა თქმა უნდა სომეხ კომუნისტებს რუსები აქტიურად უჭერდნენ მხარს, მათ ხომ საქართველოს ხელში ჩაგდებაც სურდათ. სწორედ ამიტომ მათ არ დაუცადეს ვადის გასვლას და ზუსტად 2 დღით ადრე თავს დაესხნენ საქართველოს სასაზღვრო პოსტებს, ხოლო ზონის ადგილობრივ რუს მოსახლეობაში მოახდინეს აჯანყების პროვოცირება საქართველოს წინააღმდეგ — ხ. ქ.

გაზეთი „სლოვო“ №35 15 თებერვალი, 1921 წ.

## განცხადება - სამხედრო მდგომარეობის შემოღების შესახებ.

### დოკუმენტი 6.

რესპუბლიკის მთავრობის 12 თებერვლის დადგენილებით ქ. ტფილისი, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრები, საქართველოს ყველა რკინიგზა და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობაწი მყოფებად.

გენერალ-გუბერნატორად დანიშნული ვარ მე და გადმომეცა უფლებები დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტის შესაბამისად

გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი.

გაზეთი „სლოვო“ №35 15 თებერვალი, 1921 წ.

## გენერალ-გუბერნატორის მოწოდება.

### დოკუმენტი 7

საქართველოს მტრები და უმადურები ისევ შეტევაზე გადმოვიდნენ. საბჭოთა სომხეთიდან ჯარებმა განახორციელეს ბანდიტური თავდასხმა ბორჩალოს მაზრაზე. ამავე დროს მაზრის ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის ნაწილმა მოახდინა აჯანყება და გადავიდა თავდამსხმელი მტრის მხარეზე საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამხობის მიზნით.

როგორც ყოველთვის, რესპუბლიკის მთავრობა მზადაა ჭკუა ასწავლოს ხალხის გამყიდველებს და მოღალატეებს, თავდამსხმელ მტერს სამშობლოს თავისუფლების დამცველების — შეიარაღებული ძალების — არმიისა და გვარდიის ძლიერებით.

მთავრობა მედგრად მიჰყვება არჩეულ გზას — უზრუნველყოს დემოკრატიული საქართველოს თავისუფლება და მტერზე გამარჯვება.

და, ყველა მოქალაქემ იცოდეს, რომ ყველაზე მცირერიცხოვანი ერის ნებისყოფაც კი შეურყეველია, თუ მისი საფუძველი მტკიცე ერთიანობაა

მთელ რესპუბლიკაში უნდა სუფევდეს მტკიცე წესრიგი.

ხოლო იმ რაიონებში, სადაც სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული, სადაც რესპუბლიკის ბედი წყდება, ეს წესრიგი უნდა იყოს უმაღლეს დონეზე.

რესპუბლიკის რკინიგზელებმა თავიანთი მუშაობის მაქსიმუმი უნდა გამოავლინონ. თავგანწირულ შრომას და რესპუბლიკისადმი ერთგულებას არაერთხელ გადაურჩენია ქვეყანა საშიშროებისაგან და ახლაც, ახალი გამოცდის წინაშე მდგარი რესპუბლიკა მოელის მათგან მედგარ და დაუღალავ შრომას. აი, ამას მოვუწოდებ მე მათ.

ერის მზერა მიმართულია ტყიბულელ ქვანახშირის საბადოების მაღაროელებისაკენ. სამშობლოს სჯერა, რომ ისინი შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, წარმატებული შრომით დაამარცხებენ შინაურ და გარეშე მტრების დამარცხებას.

ხოლო ბორჩალოს მაზრის იმ სოფლებს, რომლებმაც უღალატეს რესპუბლიკას და დემოკრატიას, მოვაგონებ, რომ ხალხი ვერ მოითმენს ღალატს და გამყიდველობას. მათ ელოდებათ სრულიად დამსახურებული სასჯელი.

ვაფრთხილებ დანარჩენ სოფლებს, არ გაჰყვნენ მოღალატეებს და არ დაუჯერონ უცხო სახელმწიფოს მოსყიდულ აგენტებს.

ქ. ტფილისისა და ტფილისის მაზრის მოსახლეობა უნდა იყოს მშვიდად, ფხიზლად, მედგრად, განამტკიცონ სამშობლოს დამცველთა ზურგი.

ყველა მოქალაქეს მოვუწოდებ სრული შეგნებით დაემორჩილონ მთავრობისა და ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

ქ. ტფილისის, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების გენერალ-გუბერნატორი

ბ. ჩხიკვიშვილი

გაგრძელება მე-3 გვ.

გაზეთი „სლოვო“ 15 თებერვალი, 1921 წ.

## გენერალური შტაბის ცნობა

### დოკუმენტი 8.

16 თებერვალი

ღამით რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოილაშქრეს საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდანაც. ყაზახის მაზრიდან შემჩნეულია საბჭოთა ჯარების შემოტევა ფოილოს მიმართულებით და წითელი ხიდისაკენ.

ფოილოს მიმართულებით მოგერიებულ იქნა მტრის ცდა მტკვარზე გადმოსვლისა. ფოილოს ხიდი ჩვენს მიერ აფეთქებულია.

ბრძანებაა: წითელი ხიდისა და სადახლოს მიმართულებით ჯარებმა მდ. ხრამზე დაიხიონ. ჯარის სულიერი განწყობილება მამაცურია და ჩვენი დახევა წესიერად სწარმოებს.

გაზ. „საქართველო“ 17.II—21 №37

## ფხიზლად, ქართველებო!

### დოკუმენტი 9.

თავხედი მტერი კარზე მოგვადგა. მტერი დაუნდობელი და ჩვენი თავისუფლების უარმყოფელი. მტერი, რომელიც მალვით და ქურდულად თავს გვესხმის და ომის წესების ფეხქვეშ გათელვით სრულიად ააშკარავებს თავის მყრალ ბუნებას — აი ასეთი მტერი დღეს შურითა და მუქარით მოიწევს საქართველოსაკენ!

ჩვენს დაწყნარებულსა და მშვიდობიან სამშობლოს ალაყაფზე აკაკუნებს მტერი, რომელსაც მოაქვს ცეცხლი და განადგურება, რომლის წითელი ჯარით გახრწნილი და განადგურებულია რუსეთის უზარმაზარი ტერიტორია და სამარის პირამდეა მიყვანილი რუსის საცოდავი, შეუგნებელი ხალხი...

ქართველმა ხალხმა კარგად უწყის, თუ რა ავლადიდების ადამიანები იწევენ ჩვენზე: ძველი საკმაოდ ნაცნობი რუსის ჯალათი ხელმეორედ მოეშურება საქართველოსაკენ ქურქგამოცვლილი და ფერშეცვლილი, ხოლო მისი გული ისევ შავია და ავაზაკობით აღსავსე.

ასეთ მტერს ერთი პასუხი მოელის ჩვენგან: აშიშვლებული ხმალი სრულიად საქართველოს გაერთიანებული ხალხისა ძველებურად აელვარდება ქურდულად შემოსული არამზადების დასახვედრად...

ფხიზლად, ქართველებო! მდგომარეობა ერთობ სერიოზულია!

გაზ. „საქართველო“ 17.II-21 წ. №37

## გენერალ-გუბერნატორის დადგენილება

### დოკუმენტი 10.

1) იკრძალება ყოველგვარი კრებებისა და მიტინგების ჩატარება ქალაქის მილიციის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე;

2) ყველა როგორც პერიოდული, ისე ყოველდღიური ბეჭდვითი გამოცემები გამოშვების წინ თითო ეგზემპლარად უნდა იქნეს წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში;

3) ქ. ტფილისის სახლების მფლობელნი, დამქირავებელნი, სასტუმროების პატრონებივალდებულნი არიან შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს არა უგვიანეს 24 საათისა საბინაო წიგნებში ჩაწერილი მოქალაქეთა ზუსტი მონაცემები, აგრეთვე ჩამოსულ-გამგზავრებულ პირთა შესახებ; ამ მონაცემებში უნდა იყოს ნაჩვენები საიდან ჩამოვიდა და სად გაემგზავრა მოცემული პიროვნება.

4) ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან სამი თვის პატიმრობით ან 100 ათ. მან ჯარიმით;

გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი

გაზ. „ბრუზია“ №36 17 თებერვალი 1921 წ.

## ნოე ჟორდანიას მიმართვა მთელი მსოფლიოსადმი რადიოთი, 16 თებერვალს.

### დოკუმენტი 11.

მთელი მსოფლიოს ხალხებს და ყველა მთავრობებს!

ქართველი ხალხის და მისი მთავრობის შეურყეველმა მისწრაფებამ მშვიდობიანად და მეგობრულად ეცხოვრა ყველა ხალხებთან — ვერ აალებინა ხელი ჩვენს მეზობლებს — [illegible] რესპუბლიკებს ჩვენს წინააღმდეგ საზიზღარ თავდასხმაზე.

საბჭოთა სომხეთმა და აზერბაიჯანმა რუსთა წითელი ჯარის გამოყენებით, ომის ფორმალურად გამოუცხადებლად გამოილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენი დამოუკიდებლობის მოსასპობად და ქართველი ხალხის დასამონავებლად.

თქვენ უნდა იცოდეთ ყველამ, რომ ამით რუსეთის მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულება. მან გადაწყვიტა წითელი დროშისა და ლამაზი ლოზუნგების ნიღაბის ქვეშ, შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა.

მთელი მსოფლიოს წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენ, ქართველ ხალხს მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ბრძოლა უკანასკნელ სულისთქმამდე უსაშინელეს მტერთან.

ამ მძიმე ისტორიული მომენტში ქართველი ხალხი განმსჭვალულია მხოლოდ ერთი მისწრაფებით: დამოუკიდებლობა ან სიკვდილი!

და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ ბრძოლაში ყველა კულტურულ ხალხთა თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე არის.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია

გაზ. „საქართველო“ 18.II—21. №38

## დამფუძნებელი კრების მოწოდება

### დოკუმენტი 11ა.

საქართველოს ხალხო!

შენ თავს დაგესხა ვერაგი და მუხანათი მტერი.

მისი მიზანია — დაგიპყროს, წაგართვას თავისუფლება და დაგიმონოს.

გიახლოვდება შიშველი, მშიერი მტერი, სხვისი ქონების გაძარცვას ჩვეული.

თუ მისი ჩანაფიქრი შესრულდება, შენ მოგიწევს დაემშვიდობო საკუთარი შრომით მოპოვებულ ქონებას და ეზო-კარს. საკუთარი თვალით დაინახავ, თუ როგორ გაანადგურებენ და წაბილწავენ შენს ოჯახს.

ქართველო ხალხო!

შენ ბევრი გაჭირვება გადაგიტანია. მრავალი საუკუნის განმავლობაში არაერთხელ შეხვედრიხარ მტერს, მაგრამ არასდროს არ მდგარხარ პირისპირ ასეთ მდაბალ და წუნკალ მტერთან!

ეს მტერი მამაცია მხოლოდ მშიშრებთან, ხოლო მშიშარაა მამაცების წინაშე.

შენი ჯარისკაცი და შენი გვარდიელი კი მამაცია: მთელი კვირაა გაავთრებული იბრძვიან ისინი მრავალრიცხოვან მტერთან.

ქართველო ხალხო!

შენი ვალია დადგე სამშობლოს დამცველების გვერდით, შენ უნდა დაეხმარო, შენ უნდა გაამხნევო ის, ვინც სწირავს რა საკუთარ სიცოცხლეს, ამით შენ გიცავს, შენს მშვიდობიან შრომას, ფოლადის კედლივით ევლება შენს მიწას.

სრულიად საქართველოს ხალხი: მამაკაცები და ქალები, დიდი და პატარა, გლეხები და მუშები, ინტელიგენტები და ვაჭრები — ყველა ფეხზე უნდა დადგეს ფრონტის დასახმარებლად.

მტერი საქართველოს დედაქალაქს მოუახლოვდა!

აი, ახლაა აუცილებელი შენი სწრაფი მოქმედება!

ყველანი იარაღით!

დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელ ქართველ ხალხს ერთიანი აღტკინებით გამოვიდეს თავხედი მტრის წინააღმდეგ.

ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, დაუყოვნებლივ გაემართოს შესაკრებ პუნქტებში: გვარდიის შტაბში ან ერობაში.

არც ერთი წუთი არ დააყოვნოთ, გახსოვდეთ — მტერი ქურდულად დაგესხა, რათა დრო მოიგოს.

ისინი ვინც სახლში დარჩებიან, საკუთარ თავზე უნდა აიღონ ფრონტისათვის ზრუნვა. შეკრიბეთ ჩვენი ჯარისკაცებისათვის სურსათი და ტანსაცმელი. ფხიზლად უყურეთ მათ, ვინც გულში ჩვენს დაღუპვას ნატრობს.

თვითონ, საკუთარი ძალებით დაიცავით წესრიგი ყველგან. იფიქრეთ და იზრუნეთ მხოლოდ ფრონტზე, მხოლოდ გამარჯვებაზე.

დღეს ქართველ ხალხს სხვა დანიშნულება არ აქვს,

ასე, რომ წინ!

კიდევ ერთხელ უნდა გაცისკროვნდეს გამარჯვებით ქართველი ერი. ამ მიზნისაკენ შენთან ერთადაა მთავრობა და დამფუძნებელი კრება.

გაუმარჯოს საქართველოს!

გაუმარჯოს მის თავისუფლებას!

საქართველოს დამფუძნებელი კრება

გაზეთი „სლოვო“ 19 თებერვალი 1921 წ. №39

## ტფილისი უზრუნველყოფილია სურსათით.

### დოკუმენტი 12.

ქალაქის საკრებულოს სასურსათო განყოფილების გამგემ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ქალაქის სასურსათო მდგომარეობის შესახებ შემდეგი განცხადება გააკეთა:

ამ მხრივ მოსახლეობა სრულიად მშვიდად უნდა იყოს. არავითარი შეშფოთების საფუძველი სურსათის ნაკლებობაზე არ არსებობს. ქალაქში არის სურსათის სრულიად საკმარისი რაოდენობა. გარდა ამისა, ქალაქის საკრებულომ 17 თებერვალის სხდომაზე გადაწყვიტა მიღებულ იქნას დამატებითი ზომები საკვები პროდუქტების, ე.ი. ხორცის, ლობიოს, სიმინდის და კარტოფილის დამზადების მიზნით, რომელთა შევსება მოხდება მაქსიმალური რაოდენობით. ყველა შესყიდული პროდუქტის დანაწილება დამოუყოვნებლივ მოხდება სასურსათო მაღაზიების მეშვეობით.

რაც შეეხება პურს, ამ მიმართულებითაც ენერგიული ზომებია მიღებული. დღეიდან მოსახლეობა დამატებით მიიღებს 3 გირვანქა ხორბლის პურს სულზე (1 გირვანქა უდრის დაახლოებით ნახევარ კგ-ს — ს.კ.), რომლის ფასი იქნება 150 მან, ხოლო 19 თებერვლიდან გაიყიდება იმავე რაოდენობით მჭადიც, 80 მან გირვანქა.

ამასთან ერთად მიღებულია ზომებიც პროდუქტებზე ფასების ხელოვნური აწევის და საქონლის გადამალვის წინააღმდეგ. ამ მიზნით ქალაქის მილიციას მიეთითა გააძლიეროს ბაზრებზე და ვაჭრობის სხვა პუნქტებზე კონტროლი. სპეკულაციის ყველა აქტი გადაეცემა შესაბამის ორგანოებს.

მოსახლეობამ ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტების აღმოჩენისას დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ან სავაჭრო კონტროლს, ან სასურსათო განყოფილებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტფილისის მოსახლეობა არ განიცდის არავითარ უკმარისობას სასურსათო პროდუქტების მომარაგების მხრით.

გაზეთი „სლოვო“ 18 თებერვალი 1921 წ.

## თბილისი, 17 თებერვალი.

### დოკუმენტი 13.

დილის 8 საათია. შეშფოთებული მოქალაქენი უკვე ქუჩებში გამოფენილან: იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფად, ბჭობენ, ჩურჩულობენ...

ზოგი გაფითრებულა, დაღვრემილა.

ეს ქართველია, ვერაგი მტრის მოახლოება გულს უკლავს!

ზოგს კი ღიმილი გადაჰკვრია სახეზე.

ესენი არიან თბილისის წურბელები, საიდღან სადღ მოთრეული მუქთახორები, საქართველოს დაღუპვა რომ სანატრელად გაუხდიათ.

უმადურნი და უკეთურნი, ბრმანი და ყრუნი! შხამად შეერგოთ მათ საქართველოს ტკბილი ლუკმა!

ქუჩებში მიმოჰქრიან ავტომობილები, ყველა სადღაც მიეშურება... ზოგი გარბის კიდეც თბილისიდან: მიაქვთ ძვირფასი ავეჯეულობა, ნოხები, ფარდაგები...

სად გარბიხართ, სად, ქართველი ხალხის ზურგზე გასუქებულებო! განა ასე უნდა მიტოვება გაჭირვების დროს კეთილი და მოამაგე მასპინძლისა?

საქართველოს ჯერ არ სცალია ანგარიშის მოსათხოვად, მაგრამ ამის დროც მოვა...

დღეს კი ქართველობა აზვირთებულა, მოხალისენი მოდიან გუნდ-გუნდად, სიმღერით, აღტაცებით...

მოხუცი, ყრმა, ქალი და კაცი, მოხელე და მოწაფე, პროფესორი და სტუდენტი დამდგარან ეროვნული დროშის ქვეშ და მოდიან დამფუძნებელი კრების სასახლესთან, რომ ხალხის რჩეულებს შეჰფიცონ ერთგულება და მერე გასწიონ სამშობლოს დასაცავად.

დიდებული სანახავი იყო ეს გუნდები: სტუდენტებისა, მოსწავლეებისა, მოქალაქეებისა.

ვინ ან რომელი მტერი გაუმკლავდება საქართველოს! ან ვინა სთქვა საქართველოზე: ეს არის ლომი კვდებაო:

საქართველო ბებერი ლომია და მჩხავანა ყველი-პარია კატებს ყურს არ ათხოვებს...

მაშ, დიდება სამშობლოს, გაუმარჯოს ქართველებს, გაუმარჯოს მის ლაშქარს!

იფრიალოს საუკუნოდ საქართველოს ეროვნულმა დროშამ!

გაზ. „საქართველო“ 18.II—21 №23

## ტყვეები

### დოკუმენტი 14.

ფრონტიდან განუწყვეტლივ ჩამოჰყავთ ტყვეები, რომელთა სანახაობა პირდაპირ საზარელია: ფერმიხდილნი, დაფლეთილნი, ჭუჭყით სავსე — ისინი მხოლოდ სიბრალულს იწვევენ. ტყვედ მოყვანილები არიან უმეტესად რუსები და სომხები.

მოხალისეთა ჩაწერა

მთელი დღე 17 თებერვალი ყველა სათანადო დაწესებულებაში წარმოებდა მოხალისეების მიღება. ეწერებიან ათასობით. ვინ არ არის ამათში: სტუდენტი, ვაჭარი, მოწაფე, მღვდელი, მუშა, მოხელე, პროფესორი, მასწავლებელი. ფუნქციები მოხალისეთა შორის სწრაფად ნაწილდება. ოფიცრები დაწვრილებით უხსნიან მათ სამხედრო დისციპლინის და სამსახურის წესებს. [illegible] დაწესებულება და სასწავლებელი მთლიანად გამოცხადდა სამობილიზაციოდ. მოხალისეთა ნაწილი ფრონტზე იგზავნება. დანარჩენებს ევალებათ თბილისში წესიერებისა და მყუდროების დაცვა.

გაზ. „საქართველო“ 18.II—21 წ. №38

## გენერალ-გუბერნატორის განცხადება

### დოკუმენტი 15.

ჩემი 13 თებერვლის დადგენილების დამატებით ყველას ვაცნობებ, რომ რესპუბლიკის მთავრობის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა და მემორჩილება მე. ყველა ამ ტერიტორიაზე ვრცელდება ყველა ის ბრძანებები, რომლებიც დღემდე ჩემს მიერ იქნა გამოცემული.

გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი

გაზეთი „სლოვო“. №39 19 თებერვალი, 1921 წ.

## მოწყალების დები

### დოკუმენტი 16.

საქართველო განსაკუთრებულ პირობებშია, ჯარი მამაცურად იბრძვის.

ყოველი ვაჟკაცი ფრონტზეა სამშობლოს დასაცავად ბრწყინვალე გამარჯვებისათვის!

ქალებმაც უნდა შეასრულონ თავიანთი სამღვთო მოვალეობა!

ყოველი ქართველი ქალი, სადაც უნდა იყოს იგი, უნდა მუშაობდეს თავის მამაც ძმებისათვის. ქართველ ქალის სათნოებამ, ქართველი ქალის მზრუნველობამ უნდა გაუორკეცოს ბრძოლის ხალისი ქართველ არწივებს:

ქალები ადგენენ სათნოების დების რაზმებს! შენ ჯერ არ ჩაწერილხარ? დაგაგვიანდა? მიაშურე შენს დებს და დაეხმარე შენს ძმებს, მით დაიცავი ქართველი ქალის დიდი სახელი.

ქართველი ჯარისკაცი ვერავის ენდობა, თუ არა ქართველ მოწყალების დას!

შეასრულეთ ქალებო თქვენი მოვალეობა, აავსეთ მოწყალების დებით ყველა საავადმყოფო და მზად იყავით ჩვენი დაჭრილი გმირების მისაღებად!

გაზ. „საქართველო“ 19.VI—21 წ. №39

## ფრონტზე

### დოკუმენტი 17.

პარასკევს, 18 თებერვალს, დილის 11 საათზე დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციათა წარმომადგენლები წავიდნენ ფრონტზე.

ხუთშაბათს ფრონტი შემოიარეს დამფუძნებელი კრების წევრმა ალ. ასათიანმა და სამობილიზაციო საქმის გამგემ პოლკოვნიკმა დ. ვაჩნაძემ.

მათის გადმოცემით, ჯარის სულიერი განწყობილება ფრიად აღფრთოვანებულია.

ჯარის და გვარდიის ნაწილები, რომლებიც 4-5 დღე მუდმივ ომში იყვნენ ჩაბმულნი და ერთი ღამეც არ დაუსვენიათ, უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, როცა მათ მეორე ხაზზე აყენებენ დასასვენებლად.

პარაკლისები

18 თებერვალს, სიონის ტაძარში მისმა უწმინდესობამ გადაიხადა პარაკლისი ჩვენი ჯარის გამარჯვებისათვის...

გაზ. „საქართველო“ 19.II—21 №39

გაგრძელება მე-4 გვ.

## გენერალური შტაბის ცნობა, თბილისი, თებერვლის 18

### დოკუმენტი 18.

18 თებერვალს ჩვენი მდგომარეობა თბილისის დაცვის შესახებ ძლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ. მტრის შემოტევა შეჩერებულია. ლაგოდეხში და შირაქის ველზე ბრძოლებია.

გმირულად გავსწიოთ ბრძოლაში

ბოლშევიკებმა აზერბაიჯანში და სომხეთში ამ ერთი წლის (1920 წ — ს.კ.) განმავლობაში ყველაფერი გაანადგურეს, რაც კი მშრომელ ხალხს დამუშავებული და გაკეთებული ჰქონდა. ნაძარცვი კი ადვილად გაფლანგეს და მალე ისევ შიშველტიტველნი დარჩნენ. ისინი ახლა გავეღურებულნი, ეძებენ ახალ საშუალებას, მაგრამ სად ეშოვათ თავის შესანახი სარჩო?

საქართველოა მხოლოდ ერთი ქვეყანა, სადაც ბოლშევიკურ უდაბნოში ოაზისივით დაცულია ხალხის ქონება და ხალხის სიმდიდრე! და ამ ველურთა მადა-გახსნილმა სტომაქმა ჩვენსკენ იბრუნა პირი...

ჭკუა უნდა ვასწავლოდ მტრებს! უნდა გასწყდნენ ჩვენი მტრები ქართველის ბასრი მახვილით! „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, გასწი გმირულად ბრძოლაში“!

გაზ. „საქართველო“ 19 თებერვალი, 1921 წ. №39

## გენერალური შტაბის ცნობა

### დოკუმენტი 19.

„18-19 თებერვალს, ღამით მოწინააღმდეგემ დიდი ძალებით შემოუტიათ ჩვენს პოზიციებს ტფილისთან ახლოს.

გააფთრებული ბრძოლა მთელი ღამე მიმდინარეობდა. საბოლოოდ მოწინააღმდეგემ უკან დაიხია დიდი

ჩვენი მეომრები გაქცეულ მტერს უკან მისდევენ.

ჯერ-ჯერობით ხელთ ვიგდეთ ათასზე მეტი ტყვე“

გაზეთი „სლოვო“ №40 20.II—21წ.

## გუშინ ტფილისში

### დოკუმენტი 20.

ტფილისმა ადრე დილით გაიღვიძა, ქვემეხთა კანონადის შორეულ გრუხუნში. მეც წამოვდექი საწოლიდან, დაახლოებით დილის 4 საათზე.

შეშფოთებული მცხოვრებლები ბინებიდან გამოცვივდნენ, ქუჩები ხალხით გაივსო, თავდაპირველად ყველამ პურის მაღაზიებთან მოიყარა თავი და სურსათის მომარაგება დაიწყო. მაგრამ შემდეგ — ჰოი, საკვირველებავ! — შეშფოთება სიხარულმა შეცვალა!

შფოთვარე ღამე!

და სასიხარულო დილა!

უკვე 8 საათისათვის მოვიდა ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დამცველთა გამარჯვების შესახებ.

ყველას სახე ბედნიერებით ევსება. მზე ზემოდან დასცქერის ხალხს და ოქროს სხივებს აფენს გაამაყებულ ქალაქს.

საარტილერიო აფეთქებათა ხმა კიდევ ისმის, მაგრამ უკვე აღარავის არ უშინია, იციან — ეს ჩვენი არტილერისტები ესვრიან უკანდახეულ მტერს.

რუსთაველის პროსპექტზე მოჭენის მხედარი და ხალხს ამცნობს გამარჯვებას. მას გარს შემოხვევიან. საერთო ენთუზიაზმის აფეთქებაა!

ქუჩაში საქართველოს ჯარის ქვეგანაყოფები მოაბიჯებენ მუსიკით და სიმღერით. მათ პუბლიკა ურთიდება მხიარული შეძახილებით, აპლოდისმენტებით. გული სიხარულით მევსება.

თერთმეტი საათისათვის ქვემეხის გასროლები აღარ ისმის. შეწყდა კანონადაც. რუსთაველის პროსპექტი ალტაცებული ხალხითაა სავსე. მიმორბიან ორდინარეცები, სამხედრო ავტომანქანები...

მთავარი სენსაცია — ტყვეები!

მოდიან პროსპექტზე შეიარაღებულ ქართველ დარაჯთა თანხლებით, თავჩაღუნულები, გამტვერიანებული სახით. რუსული სახეებით — ჩვეულებრივი საბჭოთა რუსული ჯარისკაცთა მასა. მათი უმრავლესობა დაძონძილ მაზარებშია გამოხვეული, ზოგიერთნი კი გაცვეთილ ტულუპებში. ფეხებზე — ხახადაფჩენილი ჩექმები და დახეული წვივსაკრავები — „პორტიანკები“.

საერთო შთაბეჭდილება — სილატაკე, სულიერი გამოფიტვა. საკუთარი თავის მივიწყება...

ჩამოატარეს რამდენიმე პარტიად 80—100 კაცი. ხალხი ტროტუარებიდან ქვაფენილზე გადმოდის ცნობისმოყვარეობით აკვირდება თითოეულ ტყვეს სახეში — მაინც ვინ არიან ისინი — ჩვენი მტრები?

აი ისინიც — ბნელი, ბნელი რუსეთის წარმომადგენლები!

გვარდიის მთავარი შტაბის წინ ტყვეთა დიდ ჯგუფს გარს ხალხი შემორტყმია. ამოვიღე ჩემი ჟურნალისტის წიგნაკი, მისი დახმარებით გავიკაფე გზა და დარაჯთა მეთაურს ვთხოვე ტყვეებისგან ინტერვიუს აღების ნებართვა.

სწორედ ამ დროს იწყება შტაბის ოფიცრების მიერ ტყვეთა რეგისტრაცია.

— სახელი? გვარი?

— ხარლამპი ტუზი

— რომელი გუბერნიიდან?

— ჩერნიგოვის.

ვიღაცა ხუმრობს მოქალაქეთა ჯგუფიდან.

— რახან ტუზი გავჭერით, ესე იგი ბრძოლა წაგებული აქვთ!

შემდეგი — ივანე ხარიტონოვი, ასტრახანიდან.. და ასე — პოდოლსკიდან, ტამბოვიდან, ტულიდან...

საუბრიდან ირკვევა, რომ ეს ტყვეები მე-11 წითელი არმიის 172-ე, 173-ე და 174-ე პოლკებიდანაა. ისინი რუსეთიდან სულ ახლახან მოუყვანიათ, 2 თვის წინათ. ჯერ ვლადიკავკაზში მდგარან, შემდეგ კი — 2-3 კვირის უკან გადმოუსროლიათ ბაქოში და ფრონტზე მოუყვანიათ.

თითქმის ყველა ჭაბუკი უწვერულვაშონი არიან, ახალგაზრდები. თითოეული მათგანი სამჯერ-ოთხჯერ მაინც გაქცეულა სახლში დეზერტირად, მაგრამ ისევ უკან დაუბრუნებიათ, ახლა კი...

— ბევრნი ხართ ფრონტზე? — ვეკითხები.

— აბა, ვინ იცის! ჩვენთან პოლკებში მხოლოდ 75-80 კაცამდეა, თუმცა არტილერია და კავალერიაც გვყავს.

ვიღაცა ეკითხება — რატომა ხართ ასე დახეულ-დაფლეთილი ფორმით, ჭუჭყიანი და გაშავებულები, ასე გამხდრები?

— ჩვენ კიდევ არა გვიშავს რა — პასუხობს ერთ-ერთი ტყვეთაგანი, — აი, იქით პარტიულები არიან, სულ ფეხშიშველნი და ტიტველნი. იმიტომ, რომ პარტიულებს არ შეუძლიათ და უფლება არ აქვთ წუწუნისა, მაგრამ არიან გამოჭერილები. ცუდად გვკვებავდნენ, ბორშჩი — მხოლოდ წყალია და მეტი არაფერი. დაგვპირდნენ, რომ ტფილისში გამოგვაძღობდნენ. ამბობდნენ, რომ დღეს დილით უკვე აქ უნდა ვყოფილიყავით...

ისევ ის რომელიღაც მოქალაქე ხუმრობს:

— რატომღაც ძლიან ადრე მოგიწიათ აქ მოსვლა...!

ყველა მხიარულად იცინის, როგორც მაყურებლები, ისე ტყვეები.

— როგორ ჩავარდით ტყვედ?

— მოგვიყვანეს მდინარის პირას პოზიციაზე. შორიახლოს ხიდი მოჩანდა. უცებ თქვენი ტყვიამფრქვევი ამუშავდა, ჩვენ კი — აბა, მარდად ხიდის ქვეშ... ჩვენი მეთაური მოხოხდა და გვეუბნება — ადექით და პოზიციაზე დაბრუნდითო, მაგრამ... ვწევართ ხიდის ქვეშ და ველოდებით ტყვიამფრქვევის გაჩუმებას. მიხედ-მოხედვაც კი ვერ მოვასწარით ხეირიანად — თავს თქვენი ხუთი მებრძოლი დაგვადგა შაშხანებით... აბა, რაღას ვიზამდით, დავყარეთ იარაღი და ჩავბარდით ტყვედ. მეთაური და რამდენიმე პარტიული წინააღმდეგობის გაწევისას, მგონი მოკლული იქნენ...

— ჩვენი, 173-ე პოლკის მეთაური კი როგორც წაიქცა, აღარ ამდგარა. ტყვიების ჯერმა ორივე ფეხი გადაუჭრა, — ჩაურთო მეორე ტყვემ.

— იცოდით კი, სად და ვისთან საომრად მოდიოდით?

— აბა, საიდან გვეცოდინება. მხოლოდ ბოლო წუთს გვითხრეს, რომ საქართველოზე შეტევას ვიწყებთო. ჩვენ კი ლუდის ბოთლებივით ვართ, არ გვესმის, აქ რა გვინდა...

— ახლა მაინც არ გესმით?

— ახლა კი ვხედავთ, რომ აქ ხალხი კარგადაა ჩაცმულ-დახურული, ყველა მაძღარია. ისე, ჩვენც, ტყვეებს კარგად გვაჭმევენ, ბევრ პურსაც გვაძლევენ. ტკბილი აღმოჩნდა მშიერებისათვის ქართული პური!

დამფუძნებელი კრების ქუჩაზე ავტომანქანასთან ხალხია შეგროვებული. რაღაცას ხმამაღლა კითხულობენ. ახლოს მივედი.

აღმოჩნდა, რომ ესაა საბჭოთა გაზეთი, რომელიც ერთ-ერთ მოკლულ წითელარმიელს უპოვეს ჯიბეში. ისევ ვიღებ ჩემს ჟურნალისტის მოწმობას და შესაძლებლობა მეძლევა გაზეთს გადავხედო:

„წითელარმიელის ცხოვრება“, № არმიის პოლიტგანყოფილების 12 თებერვლის გამოცემა. მოწინავე სტატიის სათაურია: „სოციალისტური მედუქნეები სრულიად გათავხედნენ — წითელ-არმიელო, ფხიზლად იყავი!... და შემდეგ უწმაწური ლანძღვა-გინება, გამოხტომები საქართველოს მისამართით.

მინდოდა გაზეთი რედაქციაში წამეღო, მაგრამ ვერ მოვახერხე, ამბობენ — ნოე ნიკოლოზის ძეს (ჟორდანიას —. ს.კ.) უნდა აჩვენონო.

რედაქციის ჭიშკართან, ორი საათისათვის, შევხვდი ცეკავშირის მმართველობის წევრს დარჩიას.

— როგორაა საქმე? — ვეკითხები.

— სულ ახლახან ფრონტის ხაზიდან დავბრუნდი, საჩუქრები წავუღეთ მებრძოლებს. ჩვენები უტევენ, დიდი ბრძოლები მიდის, განწყობილება საომარია!

სიტყვა არ დამთავრებინა, ყვირილი მოგვესმა — შეხედეთ, შეხედეთ!

გავიხედე, ავტომანქანა მოჰქროდა, მასზე ფეხზე იდგა სახალხო გვარდიელი და ტროფეის — ბოლშევიკურ წითელ ჩლემს აფრიალებდა...

მ.ნ.

გაზეთი —სლოვო“ 20 თებერვალი 1921 წ. №40

## ფრონტის საჭიროებისათვის

### დოკუმენტი 21.

19 თებერვალის დილის 10 საათზე ქალაქის თვითმმართველობა შეუდგა ფრონტის საჭიროებისათვის შემოწირულობის მიღებას. მოსახლეობა დიდ ენთუზიაზმით აბარებს ფულს და ნივთებს.

შემოწირულებები მიიღება სპეციალური კომისიის მიერ.

საზოგადოება „ჩემო“-მ (ქიათურის მარგანეცის მომპოვებელი საზოგადოება — ს.კ.) უკვე ჩააბარა პირველი თანხა ტფილისის დაცვის ფონდში 3 მილიონი მანეთის ოდენობით, გარდა ამისა, ამ სააქციონერო საზოგადოებამ უკვე შესწირა ფონდს 1 მილ. მანეთი წინა დღეებშიც.

გაზეთი „სლოვო“ №40 20 თებერვალი 1921 წ.

## ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანებული ორგანიზაციების მოწოდება.

### დოკუმენტი 22.

მოქალაქე ვაჭრებო, მრეწველებო, ფაბრიკანტებო და ბიზნესმენებო!

სამშობლოს მტერი უტევს, იგი ცდილობს წაგვართვას ჩვენი სახელოვანი არმიის და სახალხო გვარდიის სისხლით მოპოვებული საქართველოს თავისუფლება და ღირსება. მტერი ძლიერია, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერია სამშობლოს დამცველთა სულის სიმხნევე. ჩვენი მამაცი მეომრები ვაჟკაცურად გვიცავენ ფრონტზე და ჩვენთვის სისხლს ღვრიან.

ჩვენ ვალდებულნი ვართ ზურგიდან აღმოვუჩინოთ მათ დახმარება ყველა საშუალებებით.

ეს ვალი ყოველივე ჩვენთაგანმა უნდა შეასრულოს ახლავე, დაუყონებლივ!

შესწირეთ ფრონტს, ვისაც რამდენი შეგიძლიათ!

ფულისა და ნივთების შეკრების მიზნით სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციების რაიონული წარმომადგენლებს მოცემული აქვთ სპეციალური დავალებები.

ვაჭარ-მრეწველთა გაერთიანებული ორგანიზაცია

გაზეთი „სლოვო“ №40 20 თებერვალი, 1921 წ.

## სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოწოდება

### დოკუმენტი 23.

ძენო ქართლისაო! სრულიად საქართველოს ვაჟკაცნო და ქალნო!

მადლი და კურთხევა იესო ქრისტესი თქვენდა.

საუკუნოებით განწირულ საქართველოს საღმრთო განგებამ არგუნა ხვედრი გახდეს სამარედ სკვითებისა, რომელნიც აზიაში და ევროპაში მხოლოდ ყველაფერს ანგრევდნენ და ანადგურებდნენ...

უკეთურნი უახლოვდებიან ჩვენს დედაქალაქს, ელოდებიან დამშეულნი თბილისის გემრიელი პურ-ღვინით გაძღომას, მაგრამ ყოვლაწმინდა ღვთისმშობელი ცეცხლად შეარგებს მათ ჩვენი მამულის პურსა და ღვინოს, რომელსაც ქართველობა ვხმარობთ სეფისკვერად და ზედაშედ.

საყვარელნო, მტრის ზურგში მყოფნო! შეინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მივეცემით იმ ცრუ ხმებს, რომელთაც ჩვენი მტრები ავრცელებენ.

ენდეთ ჩემს ჭაღარას, როგორც ვერავითარი ძალა ვერ მოგლეჯს თავის ძირიდან კავკასიონს, ისე ვერაფერს დაგვაკლებენ ბოლშევიკები, თუ ფრონტის ზურგი ერთიანად და მტკიცედ გვექნება დაცული...

ამას გთხოვთ, ჩემო სულიერო ძენო და ასულნო, სამშობლოს სიყვარულით, ამაზე გევედრებით მთელის ჩემი არსებით...

ღმერთმა აკურთხოს და ძლევამოსილებით შემოსოს ჩვენი ამაყი ლაშქარი!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დაიცვას და დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით მისი წილხვდომილი საქართველო!

ქება, დიდება და მარადისობა ქართველ ერს!

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი

გაზ. „საქართველო“ 22 თებერვალი, 1921 წ. №41

## საყოველთაო მობილიზაცია

### დოკუმენტი 24.

თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, თბილისის გამაგრებულ რაიონში (თბილისში, მცხეთაში, დიდ და პატარა ლილოში, დიღომში, ნორიოში, მარტყოფში, ახალსოფელში და ამავე რაიონის პატარა სოფლებში) ცხადდება მობილიზაცია 40 წლამდე ქართველი მოქალაქეებისა. გამოცხადების ვადაა 22 თებერვლის საღამოს 6 საათი.

ვინც ამ დროის განმავლობაში არ გამოცხადდება, იქნება გასამართლებული როგორც დეზერტირი.

გაზ. „საქართველო“ №41, 22.II—21

## გენერალური შტაბის ცნობა. თბილისი, თებერვლის 21.

### დოკუმენტი 25.

ღამით 20—21 თებერვალს, მტერმა მიიღო რა მაშველი ძალები, ორჯერ შემოუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორთან. ორჯერ მოვიდა მტერი ჩვენს სანგრებთან და ორივეჯერ ხელჩართული ბრძოლით მოვიგერიეთ ხიშტების გამოყენებით. მიუხედავად ჩვენი ჯარების დიდი დაღლილობისა, მამაცური კონტრშეტევით მტერი უკუგდებულია...

ღამის ბრძოლების დროს წამოვიყვანეთ ბევრი ტყვე, მათ შორის პოლიტკომისრებიც.

სოღანლუღის დასავლეთ რაიონში ჩვენმა რაზმმა ხელთ იგდო მტრის ყუმბარების საწყობი.

შავი ზღვის პირის მიმართულებით ადლერთან შემოსულ რუსებს საფრანგეთის ესკადრა ჩვენი თხოვნით ზარბაზნებიდან ესვრის მათ.

დანარჩენ მიმართულებებზე ცვლილებები არ მომხდარა.

გაზეთი „საქართველო“ 22.I- 21 წ. №41

## კოჯორის ფრონტზე

### დოკუმენტი 26.

21 თებერვალს, დილის 11 საათზე მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანმა რაზმმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს კოჯორის რაიონში. ბრძოლა წარმოებდა არტილერიით, ხელყუმბარებით და ხიშტებით. მტერმა დაიხია სოფელ კოლისაკენ. მტრის დევნა გრძელდება.

გაგრის ფრონტზე

ბოლშევიკების შემოტევა გაგრის ფრონტზე შეჩერებულია. საფრანგეთის სამხედრო ფლოტის ორი კრეისერი უკვე მოვიდა გაგრასთან და სროლა აუტეხა მტრის პოზიციებს.

ხევსურების რაზმი

შალვა ქარუმიძე ცხენოსანი და ქვეითი რაზმებით გომბორიდან თბილისში ჩამოვიდა.

მუხროვანისა და ვაზიანის რაიონში ამ რაზმებს შეტაკება ჰქონდათ რუს ბოლშევიკებთან.

გაზ. „საქართველო“ 22 თებერვალი, 1921 წ. №41

## იუნკრების გმირობა

### დოკუმენტი 27.

ჩვენი ჯარის მამაცობას და გმირობას საზღვარი არ აქვს, მაგრამ თუ გასაგებია ძველი და გამოცდილი ჯარისკაც-გვარდიელთა მოქმედება, კიდევ უფრო აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა იუნკრები, ეს-ესაა გამოუშვეს სამხედრო სკოლიდან, ლომებივით იბრძვიან.

სარდლობა და თვითმხილველნი, დამფუძნებელ კრების წევრები და სხვა საზოგადოება სიტყვებს ვერ პოულობენ მადლობისა და ქებისათვის.

გაზეთი „საქართველო“ 22 თებერვალი, 1921 წ. №41

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარო მაყაშვილი

### დოკუმენტი 28.

კოჯორის ფრონტზე მტრის ყუმბარით დაიღუპა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო მაყაშვილი, 19 წლისა, რომელიც მოწყალების დად იყო ჩაწერილი ერთ-ერთ რაზმში.

მთელი ქართველი საზოგადოება მამამარს უცხადებს პოეტს.

მეორე უმცროსი ქალიშვილი კოტე მაყაშვილისა კი შემთხვევით გადარჩა მტრის ყუმბარის აფეთქებისას.

გაზეთი „საქართველო" 22 თებერვალი, 1921 წ. №41

## ტაბახმელა-კოჯორის ფრონტზე

### დოკუმენტი 29.

„ლომებივით იბრძვიან იუნკრები!" — საერთო ხმაა და მართლაც, ყველა ნაწილებიდან იუნკრები ყველაზე მედგრად და განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტსა. ზურგიდან გამაგრებული არტილერიით, ისინი ჩასაფრებიან წუნკალ მტერს და მთელ დღე-ღამის განმავლობაში, როგორც ზღვის ტალღებს, ისე უკუაქცევენ რუსების იერიშებს. განდევნილნი კოჯორიდან და ქოროღლიდან, ბოლშევიკები ასკდებიან ტაბახმელას მაღლობებს, მაგრამ ამაოდ. ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები, დაჭრილ-დახოცილნი განბნეულია მტრისაგან დატოვებულ ბრძოლის ველზედ, იუნკრები სისტემატურად ახევინებენ უკან მაღლობიდან მაღლობზე და უმზადებენ მტერს საერთო „ტომარას".

ასეთია მთავარი სურათი, რომელზედაც მკვეთრი ხაზით ჩანს თავგანწირული მუშაობა სულ ახალგაზრდა მოწყალების დებისა, რომელთაგან უკვე იმსხვერპლა ვერაგმა ყუმბარამ კ. მაყაშვილის ქალი და ორი სტუდენტი. კატასტროფის ადგილზე ჰყრია ერთმანეთში არეული სანიტარული ეტლი და საშინლად დამახინჯებული ცხენი.

მაგრამ ბრძოლის ველზედ აღფრთოვანებული ყიჟინა და მუშაობაა. არტილერია, ლამაზი, ვაჟკაცი ქართველი ოფიცრის მომღიმარი ბრძანებით აყრის ცეცხლს მტერს და ამ ცეცხლის ქვეშ ვაჟკაცი იუნკრები ტყვიამფრქვევებით და თოფებით მუსრს ავლებენ.

საველე წითელი ჯვრის ოთახში გახურებული მუშაობაა: შველიან თანაბრად თავისიანებსა და მტრის დაჭრილებს; აგერ წევს ვაჟკაცი იუნკერი ტ-შვილი და მოწყალების და წამდაუწუმ რაღაცა მოსაბრუნებულ წამალს აპკურებს. იგი თვალს ახელს და მეკითხება: „იუნკრები ხომ ყველა იბრძვისო" და ჩვენს პასუხზედ: „ყველა საუცხოვოდო" — მძიმედ დაჭრილი იღიმება სათნო სიხარულით.

აგერ მეორე დაჭრილი, მაგიდაზედ მოწოლილი, მიჰყუდებია კედელსა. მისი ამხანაგი აბარებს ექიმს, რომ ისევ გაიქცეს ბრძოლაში. აგერ მესამე, თვითონ იხვევს ფეხს და ისევ მიიწევს ბრძოლების ცენტრისაკენ, მაგრამ ექიმები არ უშვებენ.

მოაქვთ ამბავი კვლავ დაჭრილ რუსებზედ და ჩვენც, „სტუმრები", გავრბივართ კოჯრის ველზედ. ჰყრიან დახოცილნი „წითელ" არმიელები, მაგრამ სიწითლისა არა სცხიათ რა: სიკვდილისაგან, თითქოს არამარტო სახეები, ტანსაცმელიც ნაცრისფერი გახდომიათ. დაჭრილი რუსები ბღავიან და სტირიან: „ძალით წამოგვიყვანეს, არ გვინდა ბრძოლა, დახვრეტით გვემუქრებიანო" და მათ სახეზე არ სჩანს ის აგზნებული ცეცხლი, რომელიც აშუქებთ ჩვენებს...

რეზო გაბაშვილი
გაზეთი „საქართველო" 22 თებერვალი, 1921 წ. №41

## განცხადება

### დოკუმენტი 30.

მშობლებისა, ნათესავებისა და ნაცნობთა საცნობად ვაცხადებთ. რომ 23 თებერვალს, დილის 12 საათზე, სამხედრო ტაძრის გალავანში, ძმურ საფლავში მოხდება დაკრძალვა მუხანათური მტრისაგან დედაქალაქის მოგერიების დროს სახელოვნად და გმირულად დახოცილთა, სამშობლოს ნამდვილი შვილების — ჩვენი მხედრების გვამებისა.

ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეთ, ვთხოვთ სცენ პატივი დასწრებით დედაქალაქის დაცვის მსხვერპლთ.

გამოსვენება მიცვალებულთა მიხეილის საავადმყოფოდან დილის 10 საათზედ. რუსთაველის პროსპექტით, სამხედრო ტაძარში.

ქ. თბილისის კომენდანტი
გაზეთი „საქართველო" N42 23 თებერვალი 1921 წ.

## დამფუძნებელი კრების წევრები ომში

### დოკუმენტი 31.

დამფუძნებელი კრების ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს ომში. 19 თებერვალს დილით ფრონტიდან დაბრუნებულმა დამფ. კრების თავმჯდომარის მოადგილემ ალ. ლომთათიძემ პირველმა აღფრთოვანებულმა ახარა სასახლესთან, შეკრებილ ხალხს გამარჯვება...

აგერ მოიქროლა ფრონტიდან თოფით ხელში, დამფუძნებელი კრების წევრმა გ. ცისკარიშვილმა, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ბრძოლებში და გაიძახის: „გავიმარჯვეთ, 200 ტყვე დაგვრჩა, ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა!"

სასახლიდან მოისმის სპ. კედიას აღფრთოვანებული სიტყვა, რომელიც სიხარულით, მამულიშვილური გრძნობით დამწვარი ცრემლებს ღვრის.

— კაცო, შალვა ქარუმიძის რაზმს თავი უსახელებია, თურმე ლომებივით ეკვეთნენ მტერს ფშავხევსურები!

ამ დროს მოხუცი სილ. ჯიბლაძე გაიძახის: „ქართველ ერს სიკვდილი არ უწერია, მან უნდა გაიმარჯვოს". ისმის „ვაშა" და ტაშის გრიალი. კიდევ მოეშურებიან ფრონტზე რამოდენიმე დეპუტატი.

გრ. ვეშაპელი პირადად დარიგებებით ისტუმრებს ფრონტზე ახალგაზრდა მოსახლეთაგან შემდგარ რაზმს.

ხალხი ხედავს, რომ მისი ბედის მესაჭენი მასთან არიან ჭირშიაც და ლხინშიაც, ეს აორკეცებს იმედს.

გაზეთ „საქართველო" 23/V — 21 წ. N42

## გენერალური შტაბის ცნობა 22 თებერვალი

### დოკუმენტი 32.

ტფილისის მისადგომებთან, კოჯორის ბრძოლებში დამარცხებული მტრის დევნისას, ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავთა რაზმმა გაანთავისუფლა სოფელი კუმისი და წილასყური. კუმისთან ჩვენებმა მოულოდნელი დარტყმით ხელში ჩაიგდეს მოწინააღმდეგის 8 ტყვიამფრქვევი, 8 წითელარმიელი და 3 ოფიცერი, ხოლო წილასყურთან ჭურვებითა და ტყვია-წამლით სავსე ყუთები.

კახეთში დაიწყო პარტიზანული ბრძოლა მტრის წინააღმდეგ.

დარიალის ხეობაში მტრის შემოახლოების მცდელობები უკუგდებულია.

გაგრის მხრიდან მოწინააღმდეგის შეტევა შეჩერებულია.

გაზეთი „საგრუზია" N39 23 თებერვალი 1921 წ.

## ტფილისი, 23 თებერვალი

### დოკუმენტი 33.

დამფუძნებელმა კრებამ „რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა და მიიღო, რომელიც ქვემეხთა გასროლების გრუხუნში და საქართველოს ეროვნული ყოფის საშიშ მომენტში დაბადებული, უნდა იქცეს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფუნდამენტად. ეს არაა შემთხვევითობა. ქართველი ხალხი იარაღით ხელში იკვლევდა გზას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისაკენ და დღევანდელი დღეც, როცა დედაქალაქის ჭიშკართან ბოლშევიკთა პოლკები დგანან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის მუდმივი მისწრაფება შემოქმედებითი ხასიათის მუშაობისაკენ. ამან გამოხატულება ჰპოვა დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის მიღებაში და ამ მისწრაფებას ვერავითარი გარეშე ძალა ვერ შეაჩერებს..

გაზეთი „ბრუზია" N39 23 თებერვალი, 1921 წ.

## დამფუძნებელი კრების დადგენილებანი

### 21 თებერვლის სალამოს სხდომა.

დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში, ან ამ ბრძოლას აქტიურ დახმარებას უწევს, გამოცხადდეს საქართველოს ხალხის მოღალატეთ, ჩამოერთვას მთელი ქონება და მოესპოს საქართველოს კანონთა მფარველობა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს მთავრობას.

2

დამფუძნებელმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება მთავრობის თავჯდომარისა, საიდანაც გამოირკვა, რომ ქ. შულავერში შემდგარა ჯგუფი, რომმელიც თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას და რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის რუსეთის საბჭოთა ლაშქარს საქართველოს რესპუბლიკის წინაალმდეგ, ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიკ ნაზარეთიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია აღიარებულ იქმნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებათ. ჩამოერთვას მათ მთელი ქონება და გამოცხადდენ საქართველოს კანონთა მფარველობის გარეშე.

3

დამფუძნებელი კრება ადგენს: მიენდოს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომა, რომელსაც ის საჭიროდ დაინახავს თავდაცვისათვის ბრძოლის უკეთ მოსაწყობად და რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

# მაგრამ ამაო იყო ყოველი...

## ტფილისი დაკავებულია

### დოკუმენტი 34.

როსტოვიდან. 27 თებერვალი. ვლადიკავკაზიდან ამხანაგ ორჯონიკიძის ხელმოწერით მიღებულია ტელეგრამა, რომელიც იუწყება: „აჯანყებულმა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ტფილისი დაიკავეს. ქალაქს თავზე წითელი დროშა ფრიალებს. მენშევიკთა მთავრობა გაიქცა". (რუსეთის სატელეგრაფო სააგენტო)

გაზეთი „პრავდა" 2 მარტი 1921 წ. N46

## პროლეტარული დროშა ტფილისზე

### დოკუმენტი 35.

ტფილისში უკვე აღარაა მენშევიკური მთავრობა. ტფილისის — საქართველოს დედაქალაქი აჯანყებულთა ხელთაა, რევოლუციონერ მუშათა და გლეხთა ხელშია.

დიდხანს ივლნენ პეტროგრადიდან გამოქცეული მოლაყბები ტფილისურ ბუნაგში, დიდხანს მოუწიათ სოც. დემოკრატიული ფრაზებით შეენილბათ კაპიტალისტებისა და მემამულეთა ქონება, დიდხანს ახრჩობდნენ ისინი ქართველ მუშებს და გლეხებს, იცავდნენ ფეოდალთა მიწებს, მედუქნეთა ტრაქტირებს, ვაჭართა მაღაზიებს, კაპიტალისტთა ფაბრიკებს.

მაგრამ კაპიტალის ბატონობასაც, თავის საზღვარი აქვს. აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა დაამხეს საქართველოს დამფუძნებელი კრების ხელისუფლება... ახლა უნდა იმედი ვიქონიოთ , რომ კავკასიაში მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების წრე შეიკვრება და საბჭოების ოჯახს ახალი საბჭოთა რესპუბლიკა შეემატება!

სალამი თქვენ, ქართველო ამხანაგებო!

სალამი წითელ ტფილისს!

გაზეთი „პრავდა" 2 მარტი 1921 წ. N46

# ემიგრაციის განწირული სულისკვეთება

## საქართველოს მთავრობის ცნობა

### დოკუმენტი 36.

საქართველოში რუსეთის არმიის შემოჭრის შესახებ

1921 წლის 19 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელმაც ხელისუფლება მიიღო საყოველთაო — სახალხო არჩევნების შედეგად, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებინა. ეს გამოწვეული იყო რუსეთის ჯარებით საქართველოს ოკუპაციის შედეგად, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, წაართვეს კანონიერ [illegible] შესრულების საშუალება.

თავისი [illegible] პირველი დღეებიდანვე საქართველოს რესპუბლიკა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა მშვიდობიანად ეცხოვრა მეზობლებთან... იგი ბრძნულ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანი იყო დაახლოება ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, კავშირურთიერთობის განმტკიცება მეზობლებთან და ევროპის სახელმწიფოებთან.

თავისი დამოუკიდებლობის დაცვისას საქართველოს მთავრობას არ შეეძლო დაეშვა, რომ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში და მისთვის თავს მოეხვია რაიმე მითითება ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის შესახებ.

ამ გარემოებამ გამოიწვია საქართველოსადმი მოსკოვის მთავრობის სიძულვილი, რომელიც ცდილობდა აღედგინა თავისი ხელისუფლება მთელ ამიერკავკასიაში იმ მიზნით, რომ საკუთარი პოლიტიკური გეგმები განეხორციელებინა.

საქართველოს მთავრობამ კატეგორიული უარი განუცხადა მოსკოვის მთავრობას ყოფილიყო მისი აგენტი ამიერკავკასიაში და გაეტარებინა პრობოლშევიკური ავანტიურისტული პოლიტიკა, რის გამოც რუსეთის მთავრობამ საქართველო ანტანტის აგენტად გამოაცხადა.

მცირერიცხოვანი აჯანყებებისა და შეთქმულებების მიუხედავად, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბოლშევიკ-ემისრების მიზნები ჩაიფუშა, მაშინ კი საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა იარაღით დაემორჩილებინა ეს ქვეყანა, რითაც დაარღვია 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი საქართველორუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულება.

1920 წლის დეკემბერში XI არმიის სარდლობა [illegible] დაევალება, რათა წარედგინა [illegible] ბა საქართველოს დაპყრობისათვის საჭირო ძალების შესახებ...

ომის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს მთავრობა შეეცადა გაერკვია მოსკოვის საბოლოო მიზნები ამიერკავკასიაში, ითხოვა მონაწილეობის მიღება მოსკოვში გამართულ რუსეთ-თურქეთის კონფერენციაში 1921 წლის თებერვალს, მაგრამ ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

ასევე ვერ მოხერხდა უკვე გასაბჭოებულ სომხეთთან გართულებული ურთიერთობის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ [illegible] მთავრობა დათანხმდა 15 თებერვალს გამართულიყო თბილისში სომხეთ-საქართველოს მოლაპარაკება, 11 თებერვალს სომხეთის მხრიდან საქართველოში მაინც შემოიჭრნენ რუსეთის XI არმიის ნაწილები.

რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში ბატონმა [illegible] ამ ფაქტის შესახებ განაცხადა, რომ რუსეთის [illegible] ნობია ამ თავდასხმის შესახებ და ეს სომხეთის მთავრობას გაუკეთებია.

ამავე დროს საქართველოს მთავრობამ მიიღო სომხეთის წარმომადგენლის ბატონ შავერდოვის განცხადება, რომ „სომხეთს ამ თავდასხმასთან არავითარი კავშირი არ აქვს."

ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ ბატონი შავერდოვი მართალს ამბობდა... ასე რომ, 11 თებერვალს საქართველოს საზღვრები გადმოლახა [illegible] რუსეთის ჯარებმა.

15 თებერვალს აზერ[illegible] მხრიდან საქართველოში შემოი[illegible] XI არმიის [illegible] ძალები.

საქართველოს მთავრობამ დიპლომატიური გზებით შეეცადა ომის შეჩერებას და მის თავიდან აცილებას. 16 თებერვალს საქართველოს მთავრობის [illegible] თავმჯდომარე [illegible]

გაგრძელება მე-6 გვ.

დასასრული

დაუკავშირდა მოსკოვს, მაგრამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ბატონმა კარახანმა უარი თქვა მასთან საუბარზე (...).

ამასობაში მოვლენები ასე განვითარდა. ქართველი ხალხი მამაცურად უმკლავდებოდა ორი მხრიდან შემოსულ თავდამსხმელთ, არმია და გვარდია მედგრად იცავდა თბილისს, მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნებისა.

21 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ჩიჩერინს და მოითხოვა ომის მიზეზების განმარტება, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. 22 თებერვალს მიმართა ლენინს და ტროცკის, ისევ უშედეგოდ.

პასუხის მაგიერ საბჭოთა მთავრომ განაახლა შეტევები საქართველოზე დამატებითი მიმართულებებით — მამისონის უღელტეხილიდან საქართველოს სამხედრო გზაზე ვლადიკავკაზიდან და შავი ზღვის სანაპიროზე — სოჭიდან.

საქართველოზე ყოველი მხრიდან აწარმოებდა შეტევას XI არმია, აგრეთვე IV, VIII და XIII არმიის ნაწილები, თუ არ ჩავთვლით ბუდიონისა და ჟლობას ცხენოსან არმიების ნაწილებს.

ქართველი ხალხი დიდი ენთუზიაზმით იცავდა სამშობლოს, მაგრამ იარაღი არ ჰქონდა. მთავრობამ მრავალჯერ მიმართა ევროპის ქვეყნებს იარაღის მოწოდების მიზნით, მაგრამ ისინი თავს იკავებდნენ. საბოლოოდ ერთ-ერთი სახელმწიფო დათანხმდა (საფრანგეთი), მაგრამ უკვე გვიან იყო.

22 თებერვალს ბოლშევიკებმა ახალი ძალები მიიღეს. ამავე დროს თურქეთის მთავრობამ ულტიმატური ფორმით გამოუცხადა საქართველოს, რათა დაეტოვებინა ართვინ-არტაანი. საქართველო იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა, თუმცა აღნიშნა, რომ ტერიტორიის საკითხი ასე არ გადაიჭრება. ასეთი მოქმედება უკანონოა და საჭიროა საერთაშორისო არბიტრაჟის ჩარევა.

ამასობაში საქართველოს სამხედრო მდგომარეობა გართულდა. იგი იბრძოდა უთანასწორო პირობებში, იძულებული იყო დაექსაქსა თავისი სამხედრო ძალები ხუთი მხრიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ. ქართული არმია სუსტდებოდა...

25 თებერვალს საქართველოს ჯარებმა დატოვეს თბილისი. ბრძოლები გრძელდებოდა სამი კვირის განმავლობაში. ამ ტრაგიკულ დღეებში ქართველი ხალხი თავგანწირულად იცავდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მაგრამ იარაღის უკმარისობის გამო პატარა რესპუბლიკამ ვერ გაუძლო უზარმაზარი რუსეთის შემოტევას.

(...)

17 მარტს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ შეეწყვიტა ბრძოლები მდ. რიონთან პოზიციებზე და არმია დაემალა. აშკარა გახდა, რომ მთავრობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვერ დარჩებოდა და იგი უნდა გამგზავრებულიყო, რადგან ეს იყო ერთადერთი გზა — არავითარი პოლიტიკური ურთიერთობა არ დაემყარებინა დამპყრობლებთან.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა დაამყარეს სამხედრო ხელისუფლება „რევკომის" სახით. რესპუბლიკის მთავრობამ ამის თაობაზე განაცხადა, რომ „რევკომი" არ შეიძლება ჩაითვალოს „მთავრობად", რადგან მათ ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, რადგან „რევკომი" შედგება იმ ხალხისაგან, რომლებიც საქართველოში მტრის არმიას შემოჰყვნენ.

(...)

ყველა ზემოთ მოტანილი ფაქტი, ამრიგად, ამტკიცებს, რომ

1) რესპუბლიკა... დანგრეულ იქნა არა შიგნიდან, ხალხის რაიმე უმცირესობის მიერ, არამედ გარედან უხეში ძალით, რათა მმართველობა და წყობა შეცვლილიყო საბჭოთა რუსეთის მსგავსად;

2) ქართველი ხალხი გმირულ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, იცავდა სამშობლოს და საკუთარ მთავრობას და ბრძოლა შეწყვიტა მხოლოდ ძალებისა და საშუალებების ამოწურვის გამო;

3) საქართველოში შექმნილი სიტუაცია არის უცხოეთის არმიის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია;

ოკუპაციის შედეგად იძულებით სამშობლოს მიწას მოშორებული საქართველოს მთავრობა აგრძელებს თავის უფლებების განხორციელებას, მიცემული დამფუძნებელი კრების მიერ და ასრულებს თავის მოვალეობას ხალხის წინაშე, იცავს ქართველი ხალხის ინტერესებს იმ დიდი სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც სცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

აპრილი, 1921 წ. პარიზი.

# „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა"-ო.

ამბობენ— ვინმე „საპოჟნიკ" მელქაძეს უთქვამს: „თუ კი ასე იყო ჩვენი ამბავი-რაღას ვიჭაჭებოდით და რატომ უბრძოლველად არ ჩავბარდით"-ო.

ამაზე მინდა უპასუხო: „პიროჟნიკმა":

თუ კი პოლონეთმა—ლატვია—ლიტვა—ესტონეთმა— გაცილებით უარესს პირობებში ოც წელიწადზე მეტს გაუძლეს-დამოუკიდებლობა შეინახეს—რატომ ჩვენ სამიც ვერ გაუძლით—ათასჯერ უკეთეს პირობებში?: ჩვენ ხუთჯერ მაინც მეტი მანძილით ვიყავით-დაშორებულნი მოსკოვიდან-ვიდრე ისინი. იმათსა და რუსებს შორის არავითარი ბუნებრივი დამაბრკოლებელი საზღვრები არაა— გაშლილი მინდვრების გარდა—ჩვენ კი ათასკილომეტრიანი—ამინის უკუნისამდე სტრატეგიული ზღუდე გვფარავდა— კავკასიონის მთაგრეხილი. იმათამდე მისასვლელად რუსებს გადასალახი არ ჰყოლიათ არც ერთი სხვა ერი ან ტერიტორია— ჩვენამდე—უკრაინა-ჩრდილო კავკასია-აღერბაიჯანი და სომხეთი. პოლონეთ-ლატვია-ლიტვა-ესტონეთს ერთად არასოდეს არა ჰყოლიათ 12.000 საუკეთესო ოფიცერი და 150.000 კარგი მეომარი ჯარისკაცი—რომელთაგან ნახევარზე მეტი დაგვიბრუნდა რუსის ჯარიდან. და ხს. და ხს.

მაშ, რაში იყო საქმე? — აი, რაში:

პოლონეთს, მაგ., სათავეში მოექცა პატრიოტი პილსუდსკი, თუმცა სოციალისტი, მაგრამ რომელმაც თავის „ამხანაგებს" უთხრა მოსწრებულად: „მე სადგურ „პოლონეთ"-ზე ჩამოვხტი და თქვენ კი სადგურ „ინტერნაციონალზე" მიექანებით-"ო. ასევე მოიქცნენ ბალტიელი სოციალისტ-პატრიოტები, როგორც თავის დროზე ცნობილი გერმანელი სოციალისტი ბაბელი.

ჟორდანია კი თვითონ მიაქანებდა სადგურ „ინტერნაციონალისაკენ" და თავისუფალ მშვიდობიანობას მოწყურებულ ქართველ „ხალხსაც"— სიტყვით-საქმით და სიცრუით „საქართველოს" სადგურზედ არ ჩერებოდა... და ეხლა სწერს: ამხანაგები არ მაჩერებდნენო.

პილსუდსკი—უცხოეთსა თუ პოლონეთში—აგროვებდა ოფიცრობას და ლეგიონებსა ჰქმნიდა სამშობლოს დასაცავად—ჟორდანია— შინ დაბრუნებულ ლეგიონ ოფიცრობასა და ზემდეგს-„კონტრრევოლუციონერებად"-ა სთვლიდა—გარედ ერეკებოდა და სიკვდილის წინაც—ვანეში— „ჩემი შენ გითხარიო"— რუსოფილობასა სწამებს-ავაზაკობას და ათასს თავისს უმსგავსოებას.

პილსუდსკის დიდი ოპოზიცია ჰყავდა, ერთხელ იარაღითაც გამოვიდნენ მის წინააღმდეგ, გადააყენეს კიდეც და ჟორდანია საცოდავად ჩივის: ათიოდე ოპოზიციონერი-„ერთსულოვნობას არღვევდა"-ო. მთელი საქართველოს ერთსულოვანი იყო ჟორდანიას გარშემო დამოუკიდებლობის საქმეში და იგი შლიდა და ძალით შლიდა (არარსებულ) „კლასთა-ბრძოლის" ლოზუნგებითა და შეიარაღებული ხელით (195).

როგორ? თუ კი გ კვინიტაძემ და გ ჩხეიძემ 7000 იუნკერი და ზემდეგი გაწვრთნეს ისე— რომ ვეფხვებივით ებრძოდნენ რუსებს; თუ ბოლშევიკების მეთაურობით— ჩვენმა დამარცხებულმა ჯარმა— ოსმალები გაჰყარა ბათუმიდან— განა 7.000 იუნკერი და ზემდეგი რომ გვყოლოდა და 67.000 განზრახულ და ბიუჯეტ-ში ჟღლანგულ ჯარიდან მესამედი მაინც— იმ დროს— რუსები შემოგვივიდოდნენ?! და რა უშლიდა ხელს? განა გვარდიის წევრები იგივე ქართული სისხლისა და ხორცისანი არ იყვნენ— რომ ჟორდანია მუდამ უპირდაპირებდა თავისი ინტერნაციონალური ბოდვით? განა ბოლშევიკი ჯუღელი არ იყო— მოსკოვზე ლოცულობდა— „ნეტა როდის მოუახლოვდებიან ჩვენი ძმები საზღვრებს— რომ ხელი გაუწოდოთ"?-ო— განა პეტრე გელეიშვილი არ უწყრებოდა „ამხანაგებს": „რა გააჭირეთ საქმე, ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის"-ო?

განა ჩრდილო-კავკასიელებს თავის დროზე მივეშველებოდით, ან აღერბაიჯანს, ან სომხეთს, რუსები შემოვიდოდნენ? განა 1920 წლის 7 მაისის „გრომკას ზავით" ჩვენი უღელტეხილების გადმოსვლები არ განვეიარაღებინა და საიდუმლო, „დაჩოქილი მუხლების" ძალით, ინგლისისათვის ომი არ გამოგვეცხადებინა, რუსებს ვინმე შემოუშვებდა? (196).

მაგრამ-ყველა ამის მაგიერ-რაც სახელმწიფოსათვისაა საჭირო—პარტიის კაცმა ჟორდანიამ— პარტიული საქმე აქცია მხოლოდ და ამით ქვეყანაც დაღუპა და პარტიაც. თავისი სიმჩატით მარქსის „ნოეს კიდობანი" უფრო აამსტა და ზღვაში შეცურდა-დანარჩენ სამ ნოესთან ერთად.

სხვა არა იყოს რა-და თუ მთელ მსოფლიოს ისტორიაში აპოვით შემთხვევას— ერთ დროს-ერთ ადგილას-ერთ „მთავრობაში"— ოთხი ნოე ყოფილიყოს? ან გინდ სხვა ერთ-სახელიანი ოთხი? „ერთსულოვნობა არ იყოო!?. ამაზე მეტი ერთ სულ—ერთ ხორც-ერთ პარტია და ერთ-სახელობა კიდევ ლა შეიძლება? საქართველო—ნოესი კი არა-„ნოეების კიდობნად" გადააქციეს. ალბათ წმ. „თამარ მეფის მიბაძვით"—„ზედ ალმასებიც დაჰკიდეს"— ეკლესიებისა, მუზეუმებისა და კერძო სახლებიდანაც გამოტანილი, ხონთქარსაც გვერდითჩაუარეს და, არარატის მაგიერ, პარიზის პ —ზედ გაჩერდნენ.

აი, ჩემო მელქაძევ, რატომ ვიჭაჭებოდით, შეგვეძლო მაშინ გაგვეძლო, მაგრამ საქართველომ მენშევიკებს ვერ გაუძლო, თორემ ბოლშევიკებს კი გაუძლებდა მაშინ, როგორმე.

მით უფრო, რომ, ჩვენი უკანასკნელი ომის დროს— ძლივს გათავებული იყო— მარცხით— რუსების ომი პოლონეთთან, საშინელი სისხლიანი აჯანყება კრონშტადტისა ძლივს ჩაქრობილი და თვით ჩვენი ომის განმავლობაში— აჯანყება მოხ და აღერბაიჯანში და სომხებმაც დაიჭირეს ყაზახი. ამიტომ იყო— ბოლშევიკ გაბმით კი არ მოდიოდნენ— ხამუშ-ხამუშ გვიტევდნენ ორი-სამი დღის ხარვეზებით.

ეს იცოდა მთავრობამ (და სარდლობამაც?) და არა მარტო არაფრით დაეხმარა აჯანყებულთ (რითაც ვითომ ემუქრებოდა და „აშინებდა" ჟორდანია ლებედინსკებსა და ტოლსტოებს. გვ. 175 „ჟ.")— არამედ არც გამოიყენა არაფრით. ჰეკკერს სრულადაც რომ ჰყოლოდა დივიზიებიი. მთლად 29.000— ერთთავად თვალი საზღვრისაკენ ჰქონდა და ნაწილი ჯარისა იქ დაბანდებული.

და თქმა იმისი— რომ „დიდი რუსეთი პატარა საქართველოს მაინც მოერეოდა— მეტ ჯარს მოიყვანდა-ო— შემდეგ" (?) საწყალობელი თავის მართლებაა უვიცობისა. იმ დროს რომ გაგვემარჯვნა— პოლონეთ-ბალტიელებივით 20-ს წელიწადს მაინც გაგრძელდებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა, სამის მაგიერ და, იქნება, არც მთელი კავკასიის პლაცდარმი დაეთმოთ დღემდის ევროპელებსა და ამერიკას,— რუსებისათვის.

მაგრამ მართალი გამოდგა ის ურია, რომელმაც დამოუკიდებლობის დროს გვითხრა: „ჩვენ ერთი ნოე გვყავდა და ღმერთმა წარღვნა მოიყვანო, თქვენ ოთხი ნოე გყავთ და კარგი რა დაგემართება"-ო.

# 60 წლის შემდეგ



"დღეს, როცა თავის მე-60 წლისთავს ზეიმობს, საბჭოთა საქართველოს თითქოს თვალწინ უცოცხლდება თავისი ისტორია, იგი კიდევ და კიდევ ავლებს გონების თვალს 1921 წლის დაუვიწყარი თებერვლის დღეებიდან, იმ დღეებიდან გამოვლილ გზას, როცა საბჭოთა რუსეთი, უცხოეთის ინტერვენციით თავად დაუძლურებული, სამოქალაქო ომით გაჩანაგებული, გამოეხმაურა საქართველოს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა თხოვნას და მოძმე ხალხს დასახმარებლად მოუვლინა გმირული მე-11 წითელი არმია.

(საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან).

## დღესასწაულობს საქართველო

საქართველოვ, შვილთა შენთა
თვალსაჩინო, მზევ, ჯავარო,
სხვას თუ ეთქმის; შენცა გეთქმის,
ბედნიერი დედა ვარო.

შენი დიდი განთიადი
ვინც კი უწყის სად იწყება, —
იმ თებერვლის ოცდახუთი
არცა ოდეს ავიწყდება

იმ თებერვლის დღიდან მოდის,
ლეგენდებად რაც დარჩება —
ურიცხვი და უთვალავი
საამაყო გამარჯვება.

იქ ქარიშხლის ძახილია,
რომ ეფრთქვევა გზებს ნათელი, —
განახლება დღევანდელი,
ამაღლება ხვალინდელი!

ლექსი დაბეჭდილი ჟურნალ „დროშაში" 1981 წლის მე-6 ნომერში, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საქართველოს გასაბჭოების, ანუ შავბნელი 25 თებერვლის მე-60 წლისთავს, დიდი ზარზეიმით რომ იქნა აღნიშნული. ლექსს ავტორი არ აწერია. როგორც ჩანს, ნამუსის საქმე როდ გაყიდვას მოერიდა...

# ბოლშევიზმს ცრემლების არ სჯერა

ნოდარ გრიგალაშვილი

> 1989 წლის 25 თებერვალი საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველად გამოცხადდა გლოვის დღედ

მკითხველი უმალ მიხვდება, რომ ეს სათაური პერიფრაზაა ცნობილი მხატვრული ფილმის სახელდებისა — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა".

თავდაპირველად ვიფიქრე, ... პერეფრაზირებას ვახდენ..., სათაურისთვის უფრო ადვილად წარმოსათქმელი წინადადება შემერჩია, მაგალითად, ... — „დუშმანს ცრემლების არ სჯერა", მაგრამ არჩევანი ... ენის მოსატეხ „ბოლშევიზმზე" შევაჩერე და აი, რატომ:

მართალია, ქართველი კაცის ცნობიერებაში მოსკოვიც, დუშმანიცა და ბოლშევიზმიც ერთი და იგივეა, მოძალადის ასოციაციას აღძრავს და თავისუფლად შეიძლება ერთს მეორე შევუცვალოდ, მეორეს კი — მესამე, მაგრამ როცა ცრემლს ეხება საქმე, — მოსკოვი, დუშმანი და ბოლშევიზმი სინონიმებად არ გამოდგება.

ასე მაგალითად, მოსკოვმა შეიძლება დაიჯეროს ცრემლებისა და სხვისი გლოვა გულთან მიიტანოს, რადგან მოსკოვი მხოლოდ როდიონოვების ქალაქი, ან მხოლოდ კრემლი არ არის.

მოსკოვში ეკლესია მონასტრებიც დგას და იური როსტის მსგავსი ღვთისნიერი რუსებიც ცხოვრობენ, რომელთაც ჩვენი გლოვა 9 აპრილს გულთან მიიტანეს...

დუშმანმაც შეიძლება დაიჯეროს ცრემლებისა და დამარცხებულ მოწინააღმდეგეს, მოსისხლეს, პატივი მიაგოს.

ამის უმშვენიერესი მაგალითია ჯოყოლას საქციელი ვაჟას პოეტის „სტუმარმასპინძლის" მიხედვით. როცა ჯოყოლა გაიგებს, რომ აღაზას მათი ოჯახის მოსისხლის, — ზვიადაურის სიკვდილი უგლოვია, ეტყვის:

„იტირე? კარგი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა"...

აი, ბოლშევიზმთან დაკავშირებით კი, მთელი კატეგორიულობით უნდა განვაცხადოთ: ბოლშევიზმს ცრემლების არ სჯერა. ამიტომ შევარჩიე ჩვენს ცნობიერებაში სინონიმებად აღქცირებული სიტყვებიდან „მოსკოვი", „დუშმანი" და „ბოლშევიზმი" მაინც და მაინც ეს უკანასკნელი.

არავინ იფიქროს, იმის მტკიცებით, რომ ბოლშევიკებს ცრემლების არ სჯერათ, ღია კარს ვამტვრევ.

ამ საკითხზე მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ერთი გარემოების გამო. გაზეთ „მამულის" ამა წლის თებერვლის ნომერში (№4. 12) დაიბეჭდა ჩემთვის დიდად პატივსაცემი მწერლის როსტომ ჩხეიძის წერილი „ნაღვლის მეორე მხარე".

ვინც ეს წერილი წაიკითხა, ალბათ ძალაუნებურად დაფიქრდებოდა, თუმცა ვიდრე იმაზე ვიმარჩიელებდე, რაზე დაფიქრდებოდა მკითხველი, კიდევ ერთხელ გაგაცნობთ წერილის არსს და მერე დასაფიქრებელზე ერთად ვიფიქროთ.

პუბლიკაციის შესავალში ავტორი აღწერს თუ როგორ იგლოვა ქართველმა ერმა გასულ წელს 25 თებერვალი, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დღე, ხელკეტებით როგორ დაგვიხეთქეს თავები ავადსახსენებელი ორჯონიკიძის ყოფილ ძეგლთან შეკრებილთ, მხოლოდ იმისათვის, რომ სამშობლოს ბედუკუღმართობის საწყის თარიღს თავისი სახელი დავარქვით.

„აქ მხოლოდ იმ მხარეს დავუკვირდეთ: ხელისუფლებამ და ჯარმა ხალხს გლოვის უფლება არ მისცა და დაარბია.

აი, ასე აღინიშნა გლოვის დღე შარშან" — წერს ავტორი და კონტრასტული სურათის წარმოსაჩენად იქვე გვთავაზობს გერონტი ქიქოძის მოგონებიდან ერთ ადგილს, საიდანაც კარგად ჩანს ის ფაქტი, თუ როგორ მოიქცა ხელისუფლება მსგავს სიტუაციაში 1921 წლის 26 თებერვალს. აი, ეს ციტატიც გ. ქიქოძის „ჩანაწერებიდან": 1921 წლის 26 თებერვალს „თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მიჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენა, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებულ მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში. ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია ამ პროცესიისათვის ხელი შეეშალა. დახოცილი ქართველი მეომრები დასაფლავებულნი იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის ახალი სასახლის შენობაა აღმართული".

როსტომ ჩხეიძის კომენტარი ამ ორი ფაქტის შედარების შემდეგ ასეთია: „გონების თვალით შევუდაროთ ერთმანეთს გლოვის ეს ორი დღე: ერთი დასაწყისში და მეორე თითქმის სამოცდაათი წლის მერე. შევუდაროთ, რათა ძალზე სახიერად და რელიეფურად გამოჩნდეს ის ვეება უფსკრული, რაც მათ შორის ძევს". ამ კონტრასტის გასამკვეთრებლად ავტორი გრიგოლ რობაქიძის მიერ აღწერილ მეორე ფაქტსაც იშველიებს. კერძოდ, 1924 წლის რეპრესიების შემდეგ „რუსთაველის პროსპექტზე ძაძიშემოსილ ქალთა სამგლოვიარო პროცესიას ჩაუვლია". საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ ქმრების, შვილებისა და ძმების სულის მოსახსენიებლად ქაშვეთის ეკლესიაში სანთლები დაუნთიათ... ულოციათ, უგლოვიათ.

„ამ საპროტესტო აქციისათვის ხელი არავის შეუშლია.

გაოცებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობა ამის უფლებას არავის მისცემდა".

ერთი სიტყვით, ძველი და ახალი ბოლშევიკების ნამოქმედარის შედარების შემდეგ წერილის ავტორი ასკვნის:

„და, აი, ესენი, (ე. ი. ძველი ბოლშევიკები ნ. გ.) ზნეობისა და გონების გადაგვარების ნიმუშნი რაღაცით უკეთესიც კი გამოჩნდნენ საბჭოურ ეპოქაში გაზრდილ მემკვიდრეებთან შედარებით. ადამიანის ზნეობრივ დაცემას თურმე საზღვარი არა ჰქონია". ამათ ეს მაინც იცოდნენ, რომ არ შეიძლება ხალხს გლოვა დაუშალო...

ეს სიტყვები მთელი პუბლიკაციის პათოსს გამოხატავს. მოკლედ რომ ვთქვათ, როსტომ ჩხეიძის აზრით, ძველ ბოლშევიკებს „ზნეობისა და გონების გადაგვარების ნიმუშებს", ცრემლების მაინც სჯეროდათ. ერთვნული გლოვა მათში „გაოცებასთან შეერთებულ გრძნობას იწვევდა, რითაც ცოტა უკეთესნი გამოჩნდნენ საბჭოურ ეპოქაში გაზრდილ მემკვიდრეებთან შედარებით..."

ამათ კი ცრემლების არ სჯერათ...

კაცმა რომ თქვას, ბატონ როსტომს მე მგონი, ნაკლებად აინტერესებდა იმ საკითხის გარკვევა, ძველი კომუნისტები სჯობდნენ ახლებს თუ ახალ-უხლები ძველებს. მან უბრალოდ შედარების ხერხი აირჩია იმ ფაქტის უფრო შთამბეჭდავად წარმოსაჩენად, რაც გასული წლის 25 თებერვალს მოხდა...

ეს მიზანი კარგად განახორციელა.

მაგრამ მე ძველისა და ახლის შედარებამ სხვა რამეზეც დამაფიქრა. ალბათ მკითხველიც. ამიტომ, როგორც წერილის შესავალში დავთქვი, ერთად ვიფიქროთ.

განა გაოცებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ წითელი მე-11 არმიის წინააღმდეგ მებრძოლი, ქართველი ვაჟკაცები, იმავე წითელი არმიის მეთაურებმა თბილისში პატივით ჩამოასვენეს. ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზოში დააკრძალინეს ჰირისუფალთ და, რაც მთავარია, სამგლოვიარო პროცესიაში თავადაც მონაწილეობდნენ?

რა მოხდა სამშობლოს დამპყრობ ბოლშევიკთა შეგნებაში 26 თებერვალს?

ნუთუ ეს მართლა „გაოცებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობის გამოხატულება იყო?"

ნუთუ მათ მართლა არ მოსვლიათ აზრად ხელი შეეშალათ სამგლოვიარო პროცესისათვის?

თეორიულად ასეთი რამ დასაშვებია. თეორიულად კი არა, ჩვენი წინაპრები დამარცხებულებთან სწორედ ასეთ ჰუმანიზმს იჩენდნენ. გაიხსენეთ გამარჯვებული ქართველთა ლაშქრის სარდლის სიტყვები აკაკის პოემიდან „თორნიკე ერისთავი":

„ბრძანა თორნიკემ, — გაურჩევლად

ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,

გინდა ბერძენი, გინდა სომეხი

სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი!

სიკვდილი ყველას ათანასწორებს

თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..

ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს,

რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!

ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაუმონებს

დასატანჯავად ისიც ეყოფა".

ბოლშევიკების დამოკიდებულება მგლოვიარე, დამარცხებული ქართველი ხალხისადმი 1921 წლის თებერვლის ბოლოს და მარტში ერთი შეხედვით ისეთივე ჩანს, როგორ დამოკიდებულებასაც ჩვენი გმირი წინაპარი თორნიკე ერისთავი ამჟღავნებს დამარცხებული მტრისადმი.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლებოდა გამოგვეტანა. ოციანი წლების ბოლშევიკებს ღირსეული მტრობა შესძლებიათ. მტრობა მტრობაა, მაგრამ სხვისი ცრემლის დაფასებაც სცოდნიათ.

მაგრამ...

ცხადია, ასე არ იყო. ბოლშევიზმს ცრემლების არ სწამს.

უბრალოდ, მათ სცენარში ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი.

მათ არათუ ხელი შეუშალეს ქართველ ჭირისუფალთ გლოვაში, არამედ დაღუპულნი თვითონ იგლოვეს... მათ არათუ ხელი შეუშალეს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა თბილისში ჩამოსვენებას, არამედ დაკრძალვის ცერემონიალი თვითონ მოაწყვეს და დაღუპული ქართველები დამარხეს „საძმო" საფლავში, დახოცილ წითელარმიელებთან ერთად. 42 ქართველი და რუსი მეომრის დაკრძალვა მოხდა 1921 წლის 4 მარტს ალექსანდროვის ბაღში. ამის შესახებ გაზეთი „კომუნისტი" მოსახლეობას ამცნობდა:

„დღეს 4 მარტს ალექსანდრეს ბაღში მოხდება რევოლუციის მსხვერპლთა საზეიმო დაკრძალვა. ყველა რევოლუციონერი ორგანიზაციები და მოსწავლენი ორგანიზაციულ წესრიგით უნდა შეიკრიბნენ დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოსთან, საიდანაც გაყვებიან პროცესიას ალექსანდრეს ბაღში".

ბოლშევიკები გლოვას ხელს შეუშლიდნენ კი არა, თუ ვინმე აღმოჩნდებოდა ასეთი, მათ ადგილზე დახვრეტდნენ, რადგან მათი სცენარი ითვალისწინებდა მსოფლიო საზოგადოებრიობა დაერწმუნებინა იმაში, რომ რუსეთმა საქართველო კი არ დაიპყრო და ორ სახელმწიფოს შორის კი არ მოხდა ომი, არამედ მუშებისა და გლეხების რუსული წითელი არმია მიეშველა ექსპლუატატორების წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ მუშებსა და გლეხებს.

მსოფლიოს უნდა დაეჯერებინა, რომ საქართველოში მძვინვარებდა არა დამპყრობლური, არამედ სამოქალაქო ომი.

„სამოქალაქო" ომში დაღუპულთ კი „საძმო" საფლავი გაუთხარეს. აი, ეს ვერაგობა განაპირობებდა იმას, რომ „ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია ამ პროცესიისათვის ხელი შეეშალა". ყველაფერი რომ უფრო ნათელი იყოს მკითხველისათვის შემოგთავაზებთ ამ სცენარის სრულ ჩანაწერს, რომელიც დაბეჭდილია 1921 წლის 6 მარტს, გაზეთ „კომუნისტში". ეს წერილი ბოლშევიკური ვერაგობის ნიმუში გახლავთ და ინტერესმოკლებული არ იქნება მისი გაცნობა, ისიც:

ძმური საფლავი

4 მარტს, თბილისის მუშათა კლასმა და სახელოვანმა წითელმა არმიამ ალექსანდროვის ბაღში მიწას მიაბარა გმირულ ბრძოლაში დახოცილ, წითელი არმიის საუკეთესო შვილები და საქართველოს მოღალატეთა მიერ მოტყუებული, თვალახვეული, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული საქართველოს ჯარისკაცები. 4 მარტს, თბილისის მშრომელებმა — უკანასკნელი „მშვიდობა" უთხრეს, უკანასკნელად დაიტირეს 42 თავისი შეგნებულად და შეუგნებლად დაღუპული ამხანაგები და მეგობრები, კლასობრივი მოყვრები და ეს სიმბოლოა.

სიმბოლოა ის, რომ ალექსანდროვის ბაღში, ერთ დიდ გათხრილ სამარეში, ერთად მოთავსდნენ ერთი მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული მუშების და გლეხების შვილები; სიმბოლოა, რომ ამიერიდან მშრომელების ფრონტი ერთი იქნება, ამიერიდან მშრომელი მშრომელის წინააღმდეგ „ვინტოვკას" არ აიღებს.

ბევრი ძმური საფლავები აქვს კაცობრიობას გათხრილი თავისი ღირსეულად დაღუპულ შვილთათვის, მაგრამ წარსულ დროთა ისტორიამ არ იცის მაგალითი — რომ გამარჯვებული დამარცხებულს ისე მოპყრობოდეს, როგორც ეს მოხდა 4 მარტს.

საქართველოს პროლეტარულმა გადატრიალებამ ყველას კიდევ ერთხელ დაანახა, რომ მისთვის ძვირფასია არა მარტო იმათი სისხლი, ვინც იბრძვის და იღუპება მისი წითელი არმიის რიგებში, არამედ იმათიც, ვინც დატყუებული და თვალახვეული მის წინააღმდეგ მოდის „ვინტოვკით" ხელში და შეიძლება ჩვენთვის, ბევრად სავალალო და სამწუხარო არის არა ჩვენს რიგებში დახოცილ ჩვენს ძმათა სისხლი, ვიდრე იმათი, ვინც ჩვენთან იყო და ჩვენი, პროლეტარული საქმისათვის დასდვა თავისი თავი: რადგან ამათმა იცოდნენ, რისთვის იბრძოდნენ და რატომ კვდებოდნენ, რადგან ამათ სისხლსა და გმირულად დაღუპვას თავისი დიდი ნაყოფი აქვს. მათ მოუპოვეს გამარჯვება — საქართველოს მშრომელებს. ისინი კი — დაიღუპნენ, ისე რომ არ იცოდნენ რისთვის იღუპებოდნენ, ან და დაიღუპნენ თავისი მტრებისაგან მოტყუებულნი; დაიღუპნენ არა თავისი და თავისი ძმების, — მუშების და გლეხების საქმისათვის: ისინი დაიხოცნენ — თავისი მოსისხლე მტრების ბანაკში, თავისი მეგობრების და ძმების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აი ამიტომ, მათი სისხლი და დაღუპვა, ჩვენთვის უფრო სამწუხაროა, უფრო სანაღვლოა.

აი ამიტომ გამარჯვებულ მუშათა კლასის გულ-მკერდზე, წაუშლელი წითელი ზოლებით აღიბეჭდება მათი დაღუპვის ტრაგედია, მათ მაგალითზე მუშათა კლასი კიდევ ერთხელ ისწავლის, თუ როგორ არ უნდა წამოეგოს იგი თავის მოსისხლე მტრის, ბურჟუაზიის ანკესზე.

4 მარტს, მუშათა კლასმა და წითელმა არმიამ დაიტირეს თავისი სახელოვანი გმირების, წითელი არმიის რიგებში რომ იბრძოდნენ და მოტყუებული ძმების დაღუპვა". ეს უკვე მეტისმეტი ტყუილი იყო თვით ბოლშევიკებისაგანაც კი. ხალხი-

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

# ბოლშევიზმს ცრემლების არ სჯერა

(დასასრული)

სათვის შეიძლებოდა უტიფრად ეთქვათ, თქვენი მიცვალებულნი მენშევიკური მთავრობისაგან მოტყუებული ხალხი იყოო. ცოცხალი ხმას ვერ ამოიღებდა, მკვდრები კი არ ლაპარაკობენ...

ურცხვად იმის განცხადებაც შეიძლებოდა, უფრო მეტად ჩვენს მებრძოლებს კი არ ვტირით, თქვენს დაღუპულებზე გვეთუთქება გულიო. არც ასეთ განცხადებაზე შეაწუხებდათ სინდისი: ქართველმა მებრძოლებმა არ იცოდნენ რისთვის იხოცებოდნენ. არ იცოდნენ, რომ ვინც მათ იარაღს აძლევდა, ის მათი მოსისხლე მტერი იყო, ჩვენ კი მართალია დავხოცეთ, მაგრამ მაინც მათი უპირველესი ძმები ვართო...

აბა ვინ ჩახედავდა მათ შავბნელ გულებს.

კი ბატონო, დაპყრობილი ხალხი „დაიჯერებდა“ ყველაფერს, რასაც დამპყრობელი უქადაგებდა, იმასაც, რომ საქართველოს დაპყრობისაკენ ბოლშევიკებს ქართველი ერის სიყვარულმა უკარნახა... იმასაც, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას ისინი განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებდნენ, მაგრამ მათაც კი იგრძნეს, რომ ცოტა უხერხულად ჟღერდა. მთელი ქალაქისათვის დღისით-მზისით ეთქვათ „4 მარტს, მუშათა კლასმა და წითელმა არმიამ დაიტირეს თავისი სახელოვანი გმირების, წითელი არმიის რიგებში რომ იბრძოდნენ და მოტყუებული ძმების „დაღუპვა“-ო. ამას კი ქალაქი ველარ დაიჯერებდა, რადგან ატირებული, ცხედრებზე გადამხობილი წითელარმიელი თვალით არავის უნახავს. ამაზე, როგორც ჩანს, ბოლშევიკებმა იფიქრეს და მათ რა გაუჭირდებოდათ, მარტივ გამოსავალს მიაგნეს.

ჩვენ, თქვენ რომ იცით ისეთი კი არა, სხვანაირი ტირილი ვიცითო.

სიტყვასიტყვით კი აი, რას წერენ: „დაიტირეს არა ცრემლებით, არა გოდება-ვაი-ვაგლახით. მუშათა კლასმა და წითელმა არმიამ ცრემლების დაღვრა არ იციან...“

დაკრძალვის ცერემონიალზე სიტყვებით გამოსულან შალვა ელიავა, საქართველოს რევკომის სახელის ვალია ბახტაძე, ცენტრალური კომიტეტის სახელით. ვინმე ნიკულიხინი, მე-11 არმიის სახელით, რატნეკი, თოდრია (ეს ის თოდრიაა, რომლის სახელიც მთაწმინდის ძვალთშესალაგს აბინძურებს) დუმბაძე და სხვები.

ყველა გამომსვლელი ერთსა და იმავეს უსვამდა ხაზს: „დღეს ჩვენ ვმარხავთ არა მარტო ჩვენს ამხანაგებს, არა-

...ვმარხავთ მათ ერთად. როგორც ერთნი ისე მეორენი არიან შვილები გლეხებისა და მუშებისა...

ამ საფლავებმა უნდა დაანახოს ჩვენს მტრებს, მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენ არ გვსურს შურისძიება და ჩვენი მტრების მიერ ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნილნი არიან ჩვენი ძმები“. (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 8 მარტი, 1921 წ.)

როგორც ვხედავ ამაზრზენი სცენარია დადგმული. ამ სცენარის გამო იყო სწორედ, რომ 26 თებერვალსაც არ დაუშალეს ხალხს გლოვა.

„საძმო“ საფლავთან ახალი ხელისუფალნი ერთმანეთს ცვლიდნენ. სიტყვით არ გამოსულა არც ერთი ნამდვილი ჭირისუფალი. „ქართველი ჯარისკაცების დასაფლავებაზე ჭირისუფალთა მხრიდან, მათივე სურვილისამებრ, სიტყვები წარმოთქმული არ იქნებაო“ — ასე გადაწყვიტეს ძალად მაცხონე გადამთიელებმა...

ახლა რაც შეეხება იმას, თუ როგორ არ შეუშალეს გლოვას ხელი ბოლშევიკებმა

...ლება პირველ ხანებში ასეც იყო, რათა კარგად დაემახსოვრებინათ ვინ ვის გლოვობდა. საერთოდ კი 1924 წელს დახვრეტილთა გლოვა რომ ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული კარგად ჩანს ერთი ფაქტიდან. 1924 წელს მიხეილ ჯავახიშვილს დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა გამოუჩენია და სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მეგობართა სულის საოხად პანაშვიდი გადაუხდია. პანაშვიდს დაღუპულთა ახლობლები შიშის გამო არ დასწრებიან...

ასე რომ, ქართველი ხალხის გლოვას მოკრძალების ადამიანური გრძნობა „კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში“ არასოდეს გამოუწვევია.

ბოლშევიზმს ცრემლების არ სჯერა...

აკი ამბობდა სტალინი „მე კომუნისტი იზ ასობოვო სკლადა“-ო.

2. III. 90 წ.

წიგნიდან „სამწუხარო პარალელები“ თბ. „მერანი“ 1990წ.

---

# მარტოკაცის სიმბოლური ნაში

**როსტომ ჩხეიძე**

1921 წლის 24 თებერვალს დეპუტატთაგან მხოლოდ ერთადერთი პიროვნება იყო თბილისის დატოვების წინააღმდეგი.

ეს ცნობა ჩართულია ნოე ჟორდანიას მემუარულ თხზულებაში „ჩემი წარსული“, რომელსაც, მართალია, საკმაოდ აჰყვია მოვლენათა შელამაზებისა თუ შეცვლა-გადაკეთების კვალი, მაგრამ მაინც მრავალმხრივაა გასათვალისწინებელი მაშინდელი ეპოქის აღდგენისას, — და ის ცნობაც უტყუარი უნდა იყოს.

ნ. ჟორდანია ამ შემთხვევაში შეუძლებელია მიკერძოებას იჩენდეს, რადგანაც ის პიროვნება გულზე არ ეხატებოდა და რატომ მოინდომებდა ისეთი რამ მიეწერა მისთვის, რაც შთამომავლობის თვალში სხივს შესძენდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ამართლებს მის საქციელს.

უბრალოდ, გაიხსნა ის, რაც მოხდა. და, თავისთავად გამოჩნდა, რომ მეტად და მეტად საჭირბოროტო განსჯისას ყველა დეპუტატი ცალკე გამდგარა იმ ერთის გარდა.

მათი სურვილია, ქართულმა მხედრობამ უბრძოლველად ჩააბაროს თბილისი ოკუპანტებს: და იქნებ მართლაც ესაა ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება, რათა უკვე განწირულ ომში ტყუილუბრალოდ აღარ გაიჟლიტონ არც ქალაქის დამცველები და არც მცხოვრებნი, და თბილისიც გადაბუგვას გადაურჩეს?..

ბოლოსდაბოლოს, მეთერთმეტე არმიის განდევნა კიდეც რომ მოხერხდეს, რა გაუძლებს სხვა არმიებს: განა რუსეთი შეეგუება საქართველოს დაკარგვას?

მაშ ის ერთი იქნებ წრფელად, მაგრამ უგნურად მოქცეულა, რომ დაუჟინია, ქალაქს ნუ დავტოვებთო. იქნებ სულაც სხვათაგან გამორჩევის ახირებულმა წადილმა ათქმევინა ეს.

მაგრამ ოკუპანტთა ის ტალღა ნამდვილად რომ იყო მოგერიებული!...

ნოე ჟორდანია — როგორც სანდო ისტორიული წყაროები ადასტურებს — სიმართლეს არ წერს, როცა ამტკიცებს, მეც წინააღმდეგი ვიყავი თბილისის დატოვებისა და მთავარსარდალს ვედავებოდი და ვაჩერებდი, ეს ნაბიჯი არ გადაედგაო.

თბილისის დაცემა იმხანად მისმა და, საერთოდ, მენშევიკური პარტიის დაბნეულმა (რომ აღარ ითქვას: გამყიდველურმა) პოლიტიკამ განსაზღვრა, თორემ ბრძოლის გაუმართლებელი შეწყვეტა რომ არ ებრძანებინა, ქართული მხედრობა თბილისის მისადგომებიდან უკუქცეულ წითელარმიელებს საქართველოს საზღვრიდანაც გადადენიდა.

მერე თუნდ ოკუპანტთა ახალი ტალღა დაგვტყდომოდა თავს საბედისწერო ულმობლობით, ის რამდენიმე წელი, თვეებიც კი, ნამდვილად ღირდა თავგანწირვად.

ყოველი წელი, ყოველი თვე, რასაც იმპერიულ კაბალას გამოვგლეჯდით, არის დრო ქვეყნის ჭეშმარიტი სიცოცხლისა, შემატებული საქართველოს სულიერების, ღირსების, თვითმყოფადობის გადარჩენას.

იმ წლების (თვეების) მნიშვნელობაც ეს იქნებოდა: დამოუკიდებლობის ცოტა კიდევ გაგრძელება.

ამიტომ: მაშინ მხოლოდ გზადაბნეული ან ანგარებიანი ადამიანები თუ დაყაბულდებოდნენ ქალაქის ჩაბარებას მტრისათვის. და როცა დეპუტატთა იმ თავყრილობაზე გადაწყდა ეს საბედისწერო განაჩენი, აი, ამ დროს აღმოჩნდა იქ მყოფთაგან ყველა ცალკე და ის ერთიც — ცალკე.

ისედაც ნათელია, არა, რა სულიერი ღირსებისაც შეიძლება ყოფილიყო ის მარტოკაცი?.. ან იმას რა მიხვედრა უნდა, რომ ეროვნული მოღვაწეა და არა განყენებული დოქტრინებით თავგზააბნეული; ან ისიც რა იოლი საფიქრებელია, რომ გაქცეულ მთავრობას, მენშევიკ დეპუტატებს თან არ გაჰყვებოდა უცხოეთში...

ეს სახიერი წუთი რარიგ ზუსტად აირეკლავს სპირიდონ კედიას პიროვნებასა და ღვაწლს.

ეს სახელი ამ ბოლო წლებში დაუბრუნდა ხელახლა ჩვენს ცნობიერებას და გაცნობა ყოველი ფურცლისა მისი ბიოგრაფიიდან თუ ნაანდერევიდან, დაბეჯითებით გვარწმუნებს მისი საზოგადოებრივი ღვაწლის უფრო სრულყოფილად შესწავლის აუცილებლობაში.

სპირიდონ კედია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავკაცი, იყო მათ შორის, ვინც ილიას მსოფლმხედველობა ირწმუნეს, გაჰყნენ და მისი გზა შეგვინარჩუნეს... და თუ მანაც გამოსცადა ემიგრანტის მწარე ხვედრი, ეს იმიტომ, რომ ახალმა ხელისუფლებამ იძულებით გაასახლა საზღვარგარეთ: მანამდე ექვს თვეს მეტეხის ციხეში ამყოფა და ექვს თვესაც — საგუბერნიო ციხეში, როგორც ახალი რეჟიმის მოძულე, ვინც 1922 წლის თებერვალში სხვებთან ერთად შეეცადა ეროვნული გლოვის წლისთავის აღნიშვნას მასობრივი დემონსტრაციით...

იქ კი, იმ საბედისწერო ჟამს, ალბათ რამდენი დეპუტატი მისჩერებოდა დაუფარავი ზიზღითა თუ ბრაზით, რამდენი ირონიით, რამდენიც სრულიად გულგრილად... ფოტოსურათი რომ ხელთ გვეპყრას, რარიგ თვალსაჩინო იქნებოდა ეს ბრაზითა თუ სიცილით დალმეჭილი სახეებიც და მისი ეს განცალკევებაც... თუმც გონების თვალი ამ ეპიზოდსაც ისევე მკაფიოდ აღადგენს, როგორც აღუდგენია ათასგვარი სურათები: გლოვისაც და სიხარულისაც, ღალატისაც და ერთგულებისაც, შიშისაც და თავგანწირვისაც, გონიერებისაც და დაბნეულობისაც...

სიმბოლურია სპირიდონ კედიას მარტოკაცობა იმ ტრაგიკულ წუთებში: ამაოდ რომ უმტკიცებს დეპუტატებს თბილისის დაცვის აუცილებლობას.

და სახიერ სიმბოლოდაც შერჩება მის ცხოვრებასაც და ჩვენს ზნეობრივ ისტორიასაც.

---

**28 თებერვალს, ორშაბათს, 11 საათზე ცეკავშირის სხდომათა დარბაზში (თავისუფლების მოედანი N27), გაიმართება საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა და საქართველოს სახალხო ფრონტის ერთობლივი კონფერენცია თემაზე „საქართველოს ხსნის გზები“. მომხსენებლები: ნოდარ ნათაძე, დავით ბერძენიშვილი (პოლიტიკური საკითხები), რომან გოცირიძე, პაატა კოღუაშვილი, გურამ ბერიშვილი (ეკონომიკური საკითხები), ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ ადეიშვილი (კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესახებ). რესპუბლიკური პარტიისა და სახალხო ფრონტის წევრთა დასწრება სავალდებულოა.**

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭო
საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი

## ინფორმაცია

საქართველოს სახალხო ფრონტმა, რესპუბლიკურმა პარტიამ, ქარტია 91-თავისუფლების პარტიამ და საქართველოს ნაციონალისტურმა პარტიამ აღნიშნეს საქართველოსთვის დაცემულ მეომართა ხსოვნის დღე. სამგლოვიარო კორტეჟი თავისუფლების მოედნიდან გაემართა ძმათა სასაფლაოსაკენ და ყვავილებით შეამკო მეომართა საფლავები. შემდეგ მობრუნდა რუსთაველის გამზირზე მთავრობის სასახლესთან, სადაც 1921 წლის თებერვლის დღეებში დაიკრძალნენ კოჯორთან რუსულ-ბოლშევიკურ მე-11 არმიასთან, ბრძოლაში დაცემული იუნკრები. სამგლოვიარო აქცია დამთავრდა პარაკლისით ქაშვეთის ეკლესიაში.

მადლობას ვწირავთ ბატონ სიმონ კილაძეს დოკუმენტებისა და მასალების მოწოდებისათვის.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ხათუნა კვესელავა
რძმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 5000 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა“-ში
ტელ: 93—83—07, 29—49—60